სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 5 თებერვალი 1999 №19 (792) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღლეულს პირველად

დღეს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომი „შერატონ მეტეხი პალასში“ შეიკრიბება

ბერძნებმა მოიგეს

კვიპროსში დაწყებულ საერთაშორისო ტურნირში საქართველოს მეტოქემ პირველი გამარჯვება მოიპოვა

53-ე სეზონის წინ

შუა დასავლეთის დივიზიონი

ავსტრია: ტრიუმფი და მონოპოლია

ალექსანდრა მაიზნიცერმა ოქროს გემო გაუგო



გურამ მოდებაძე

ბადრი კეთილაძის ფოტოები

კლოდ სორელი

გაგვაგებინეთ, ვინ არის მწვრთნელი?!

ტონგელებთან შეხვედრამდე ჩვენმა მორაგბეებმა ის მაინც იცოდნენ, ვის დაუჯერონ

გასრულდა 1998 წელი. იგი უკვე ისტორიის კუთვნილებად იქცა, ისევე, როგორც ამ წელს მომხდარი მოვლენები: მაისში ბორჯღალოსნების მიერ რუსთა ძლევა, რომელმაც მსოფლიო თასის დასკვნით ეტაპზე ასპარეზობის შანსი მოგვცა; სამი თვის წინანდელი მარცხი ირლანდიასთან და რუმინეთთან, რომელმაც ეს შანსი სანახევროდ შეგვიმცირა. ამ წაგების მიზეზებზე დღემდე ბჭობენ და საკმაოდ ფიცხლადაც. მავანი იტყვის, ახლა რაღა დროს მაგის გარკვევაო. ერთი მხრივ, მართალიც იქნება. სჯობს, წარსულს შევეშვათ და მომავალზე, ანუ ტონგასთან დაპირისპირებაზე ვიფიქროთ, მაგრამ, მეორე მხრივ, თუ მარცხის მიზეზები არ გაირკვა, ტონგასთანაც იგივე დაგვემართება, რაც რუმინეთთან მოგვივიდა. ამის გარკვევა კი ნორმალურ ვითარებაში უნდა მოხდეს. მწვრთნელმა თუ მოთამაშემ, ყველამ უნდა აღიაროს თავისი შეცდომა და ერთობლივად სცადონ ნაკრების თამაშში არსებული ხარვეზების აღმოფხვრა. ისე არ უნდა მოხდეს, რომ ყველამ გაამართლოს თავისი ნამოქმედარი და ერთმანეთს ძველი ცოდვები გაუხსენოს. ერთი სიტყვით, სამი თვის წინანდელი მარცხის მიზეზების გარკვევა ჯერაც არ არის გვიან.

იხილეთ მეათე გვერდი

ფინალი: თავშენახული და მრისხანე

ბადრი კეთილაძის ფოტო

გუშინ სპორტის სასახლეში: „ვიტ ჯორჯია“ — „არსენალი“. ვიტელ არჩილ ბოკერიას არმიელები ასეთი სარმებით თუ აჩერებდნენ

საიმედო დაცვით განთქმულმა რკინიგზელებმა მინიფეხბურთში მიხეილ მესხის ტურნირის ფინალს ისე უწიეს, გოლი რაა, ისიც არ გაუშვიათ. დღეს „ლოკომოტივი“ ყველაზე მეტის გამტან „ვიტ ჯორჯიას“ ეთამაშება. ვიტელთაგან ნახევარფინალში 5:2 ძლეული „არსენალი“ კი „ლოკომოტივთან“ 0:3 დამარცხებულ გორის „დილას“ მესამე ადგილს შეეცილება.

იხილეთ მესამე გვერდი

პირველი ჯგუფი. პირველი წრე:

ბადრი კუტელაძის ფოტო

თსუ-ს თავდამსხმელები ირაკლი ბახტაძე და კობა წიტაიშვილი (№9) „ვიტ ჯორჯიას“ დაცვაში

ჩაჭრილი სტუდენტები

თსუ-ს საქართველოს ჩემპიონატის სტუდენტურ გუნდსაც უწოდებენ. „შევარდენი 1906“-ის შვილობილს მამობილისგან მდიდარი მემკვიდრეობა ერგო. აქედან საფეხბურთო ტრადიციას თუ გამოვარჩევთ, თორემ მამობილის ხაზინა სიცარიელის გამო დიდი ხნის ობმოკიდებული იყო.

„შევარდენის“ ისტორია 1996 წელს დაბოლოვდა, ეროვნულ ჩემპიონატში ერთ დროს მაღალი მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი, საჯაროდ თუ კონსპირაციულად, გაიყიდა. მის ნამუსრევზე წამოჩიტდა თსუ.

სტუდენტები მრავალმხრივი რეფორმებით შეუდგნენ საქმეს. უპირველეს ყოვლისა, სარბიელი გამოიცვალეს და ნავთლუღიდან მცხეთაში გადაბარგდნენ. კლუბის ხელმძღვანელებმა მწვრთნელ-ფეხბურთელებს შედარებით ნორმალური პირობები შეუქმნეს. ხელფასი, პრემია, შეკრება თუ კვება იმდროინდელ თსუ-ში პრობლემა არ იყო. საწუწუნოდ არც ჟურნალისტებს გვიხდებოდა საქმე. კლუბის პრესსამსახური ნორმალურად მუშაობდა, საშინაო მატჩებზე კი თამაშის ოქმის ქსეროასლებს ჟურნალისტებისთვის საგანგებოდ გამოყოფილ ადგილზე მოგვართმევდნენ, რომელსაც პირობითად პრესლოჟა ერქვა.

მანამდე მსგავსი რამ არც ერთი კლუბის ხელმძღვანელს გულში არც გაუვლია. იმის მერე რაღა გასაკვირი იყო, რომ გაბელიას შეგირდებმა ჩემპიონატი ყინჩად დაიწყეს. ალბათ, ასეც გაგრძელდებოდა, მაგრამ ცხვარაძეებს საწვავი შუა გზაზე გამოელიათ და ერთი შეხედვით აწყობილი მექანიზმი დაირღვა.

გასაკვირიც არაფერი იყო. თსუ არც პირველი ყოფილა და ვერც უკანასკნელი იქნება. მანამდეც ბევრი გვინახავს ერთწლიანი გუნდები. არც მათი მქუხარე დასაწყისი დაგვიწყებია. თუმცა თსუ-სგან მათ ერთი რამით მაინც გამოარჩევდით. მათ სახელი დატოვეს, სამეულში ადგილი განაღდებული ჰქონდათ.

თსუ-მ და მირიან ცხვარაძემ, რომელსაც ირგვლივ ყველა კმაყოფილი ჰყავდა, კარგად დაწყებული ჩემპიონატი ცუდად დაასრულეს. მხოლოდ მწვრთნელ-ფეხბურთელებმა უერთგულეს ბოლომდე კლუბსაც და მის გალარიბებულ პრეზიდენტსაც. ბოლოს, საშველი რომ არსაიდან ჩანდა, თავად პრეზიდენტი გაეცალა გუნდს. გაეცალა ხმაურიანად, რადგან ერი და ბერი მისი მაძებარი შეიქნა. პრეზიდენტს ვერც პრესასთან აეწყო საქმე და კონფლიქტებმაც მისთვის არასასურველ დროს მიუსწრეს.

მიუხედავად ამისა, ცხვარაძის ამაგს თსუ ვერასდროს დაივიწყებს. ის კაცი გუნდის საკეთილდღეოდ ფულს ხარჯავდა. რა ვუყოთ მერე, თუ საქმეები აერია. იმედია, ცხვარაძეები ისევ დაბრუნდებიან ფეხბურთში.

უპატრონო გუნდს მშველელი დროზე გამოუჩნდა. სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა როინ მეტრეველმა იკისრა იმათი შეფობა. თსუ-მაც საიუბილეო ჩემპიონატი დაიწყო, რა თქმა უნდა, თუ იმას დაწყება ერქვა.

რომელი ჭკუათმყოფელი კაცი ინატრებდა ოთარ გაბელიას დღეში ყოფნას?! ალბათ, არავინ. ფაქტობრივად დაშლილი გუნდით, რომელსაც ჩემპიონატის დაწყებამდე ერთ კვირაზე მეტი არ უვარჯიშია და ფეხბურთელებს გზადაგზა დაეძებს, რა შედეგი უნდა მოსთხოვო.

ზედიზედ სამი მარცხის შემდეგ გაბელიას დამოძღვრილებმა წყალტუბოში იმარჯვეს. მართალია, სტუდენტებმა მათსავით დაბეჩავებული „სამგურალი“ წამოაქციეს, მაგრამ ოთხტურში კინკილა გამარჯვება საქმეს ვერ უშველიდა. ეს იცოდა გაბელიამ და მეხუთეში „დინამოს“ მოდუნებული დაუხვდა. იცოდა მწვრთნელმა, ჩემპიონს ტყუილუბრალოდ შეასკდებოდა. ამიტომ ძალა „მერანთან“ საბრძოლველად შემოინახა და ისევ დამარცხდა.

საცოდაობა იყო იმ მატჩის წაგება. სტუდენტები ნამდვილად მოგებას იმსახურებდნენ, მაგრამ ყველა დანარჩენ „სიკეთესთან“ ერთად ფორტუნაც არ წყალობდათ.

მხოლოდ ერთხელ არ გაუხდიათ საჭოჭმანოდ გამარჯვება. ამასაც არავინ ელოდა. მცხეთაში ნასტუმრები „ჯარისკაცები“ მასპინძლებთან სათამაშოდ რიხით კი გამოვიდნენ, მაგრამ არაერთგზის ჩაჭრილმა სტუდენტებმა იმ დღეს უსიტყვო კაპიტულაციაზე დაითანხმეს გაზულუქებული „სალდათები“.

თსუ-ს კიდევ რამდენიმე ქულის მოპოვება შეეძლო, მაგრამ გაბელია და გუნდი ებრძოდა მოწინააღმდეგეს, სუსტსაც და ძლიერსაც, ებრძოდა ფორტუნას და რაც ყველაზე მთავარია, მსაჯებს. შავოსნები რატომღაც არ სწყალობდნენ გაბელიას დაბეჩავებულ გუნდს, რომელსაც, რა თქმა უნდა, ძალები არაფრით ეყოფოდა.

ძნელია, გაიხსენო მატჩი, გაბელიას გუნდს ორი გამოკვეთილი თავდამსხმელით ეთამაშოს. არ გვაგონდება, რადგან გუნდში მხოლოდ ერთი ფორვარდი, კობა წიტაიშვილი იყო. რა თქმა უნდა, მთელ რიგ მატჩებში მას როსტიაშვილი ეწყვილებოდა, მაგრამ მას შეტევასთან ერთად სხვა სამუშაოს შესრულებაც უწევდა.

მიუხედავად ამისა, თსუ საგოლე მომენტებს არცთუ იშვიათად ქმნიდა მეტოქის კართან, მაგრამ მათი გამოყენების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალი იყო.

ოთხი მცველი, ხუთი ნახევარმცველი და ეროი თავდამსხმელი, ისიც „დინამოსგან“ ნათხოვარი. ასეთი იყო სტუდენტური განლაგება საფეხბურთო მინდორზე. სულ 22 ფეხბურთელი ათამაშა გაბელიამ, მაგრამ ვერც ერთზე ვერ იტყოდით, გუნდის ლიდერიაო.

მეორე წრეც მალე დაიწყება. გაბელიას გუნდი დატოვეს დემურ კაკუბავამ და დავით ცომაიამ, ხოლო „დინამომ“, აქაოდა გამიჭირდა, კონკურენტები მომიმრავლდაო, განათხოვრებული ბათიაშვილი და წიტაიშვილიც უკან დაიბრუნა.

საიმედო პერსპექტივა, ფაქტობრივად, არ არსებობს. სტუდენტებს „სწავლის“ პროცესი ჩაეშალათ, საშემოდგომო გამოცდებიც ჩაეფლავეს, ვერც საგანთა გადაბარებაში ივარგეს. ჩაიჭრნენ ყმაწვილები და ახლა მთელ იმედებს საგაზაფხულო სესიებზე ამყარებენ. ვნახოთ, ზამთრის არდადეგებზე ცოტათი მოვღონიერდითო, იმახიან და თუ აღმასვლა არ ექნებათ, იქნებ კურსზე მაინც დარჩნენ. ის ხომ ფაქტია, რომ გარიცხვამდე ერთი ნაბიჯია.

მამუკა კვანტალიანი

თსუ-ს შედეგები

1 ტორპედო	1:3	შინ
2 გურია	0:2	სტუმრად
3 დილა	0:1	შინ
4 სამგურალი	1:0	სტუმრად
5 დინამო	1:3	შინ
6 მერანი	0:1	სტუმრად
7 გორდა	0:0	შინ
8 სიონი	1:1	სტუმრად
9 არსენალი	4:1	შინ
10 კოლხეთი	2:4	შინ
11 ოდიში	1:1	სტუმრად
12 ბათუმი	0:1	შინ
13 ვიტ ჯორჯია	1:0	სტუმრად
14 იბერია	1:1	შინ
15 ლოკომოტივი	1:3	სტუმრად

	თ	გ	ყ	წ
დემურ კაკუბავა	15	2	1	0
ოთარ როსტიაშვილი	15	3	2	0
დავთ ცომაია	15	0	2	0
გიორგი ლურიძე	14	0	2	0
კობა წიტაიშვილი	14	4	0	0
კახა ჭუბურიძე	14	0	0	0
ლევან მალრაძე	13	0	0	0
ზაზა ზამთარაძე	12	0	1	0
თენგიზ კობაშვილი	12	2	1	0
კობა ნინუა	12	0	2	0
კახა სვანიძე	11	0	0	0
ვლადიმერ ღუდუშური	10	0	0	0
ზურაბ ბათიაშვილი	9	-8	0	0
ირაკლი ბახტაძე	7	1	0	0
კახა ებრალიძე	6	1	0	0
გიორგი გაბელია	5	-11	0	1
გიორგი დეკანოსიძე	2	1	0	0
ოთარ იმჭრველი	2	0	0	0
ოთარ სულაძე	2	0	0	0
ოთარ ჭიბრიშვილი	2	0	0	0
გიორგი ნიკურაძე	1	-3	0	0
რამაზ სვანაძე	1	0	0	0

თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი



15 ტური

დინამო	15	12	3	0	50:8	39
ტორპედო	15	11	2	2	42:14	35
კოლხეთი	15	8	3	4	34:25	27
ლოკომოტივი	15	6	9	0	18:6	27
ბათუმი	15	6	6	3	23:14	24
დილა	15	6	4	5	21:21	22
იბერია	15	5	3	7	26:31	18
არსენალი	15	4	6	5	19:25	18
მერანი	15	3	8	4	13:16	17
ოდიში	15	5	1	9	12:25	16
გორდა	15	3	7	5	12:18	16
სიონი	15	4	3	8	15:32	15
ვიტ ჯორჯია	15	5	2	8	15:17	14
სამგურალი	15	4	2	9	13:31	14
თსუ	15	3	4	8	14:22	13
გურია	15	3	1	11	17:39	10

„ვიტ ჯორჯიას“ დაკლებული აქვს 3 ქულა

ქაქრია ამაღ ქაქრი

დინამო: სამეორეულიო გამოცდას ჩავიბარებთ მე, ბ[illegible]უმელი და ფოთელი.
სამგურალი: ქუთაისელი?
დინამო: თურქეთშია სტაჟირებაზე.
გორდა: გურულიც ძველი არაა?
დინამო: გაფიცულია...
ბათუმი: სტუდენტი შევარდენიძე!
თსუ: აქ ვარ!
ბათუმი: ვაი, მასეთ ყოფას. მოდი, ბილეთი აიღე
თსუ: მეთხუთ[illegible]
ბათუმი: ერთი მითხარი, სადაური შევარდენიძე ხარ?
თსუ: ნავთლუღელი, იმ „შევარდენი 1906“-ის შვილობილი ვარ.
ბათუმი: რა საკითხი შეგხვდა?
თსუ: გასული წლის ქართული ფეხბურთი ქართველი რომანტიკოსების შემოქმედებაში...
დინამო: დაიწყო, ახალგაზრდავ.
თსუ: თუ შეიძლება, ევროთასებით დავიწყებ.
დინამო: როგორც გენებოთ.
თსუ: წინასწარ „[illegible]ოს“ რომ ელი,
ჯერ დაამ[illegible] „ლომელი“!
კოლხეთი: ვა, რა ჯიგარი ხარ!
თსუ: ერთდროს „კოლხეთის ცისკარი“,
ცრვენამ ამხილა, ვინც არი!
კოლხეთი: მე შაირი არ მინდოდა,
შენ ამტეხე, ძალადაო...
დინამო: არ გრცხვენია, ტო!
ბათუმი: ჩემს მიმართ კორექტული იყავი, იცოდე!
თსუ: თერთმეტი „ცი დაცვაში,
იყო თამაში ცალ კარში...
დინამო: ყოჩაღ, ყოჩაღ!
თსუ: უკანამა თუ წინამო,
ყველამ გახრისა „დინამო“!
დინამო: აზრზე მოდი, ბიჭო!
თსუ: რა ვქნა, ბატონო, კონსტანტინეს სიტყვებია...
დინამო: ჰო, მაშინ მიპატიებია. პირველ წრეზე რას გვეტყვით?
თსუ: „ტორპედო“ ადიოდა,
„ბათუმი“ ჩადიოდა,
„გურიას“ ციოდა,
„გორდას“ შიოდა...
სამგურალი: აუჰ, რა მაგრად თქვა!
დინამო: გააგრძელეთ, გააგრძელეთ.
თსუ: „იბერია“ ბიჭებს ყიდდა,
„დილა“ ნისიებს ითვლიდა...
დილა: ჩამოხვალ გორში...
დინამო: სიჩუმე იყოს!
თსუ: მსაჯები მაგრად უსტვენდნენ,
ფედერაციაში კი ულხენდნენ...
დინამო: ნაკრებზე და ლეგიონერებზეც გვითხარი.
თსუ: ნაკრებს აწუხებს ფრაქცია,
თემური ფიცხი კაცია,
„აიაქსს“ ყელზე დაადგა
ჩვენი ვარსკვლავი ცაცია...
დინამო: ახალგაზრდულზე?
თსუ: რა მოგვიბრუნებს ჯიმის დარდიანს,
რა ეშველება ნაკრებს ლანდიანს?
დინამო: მეორე საკითხი?
თსუ: სახელმწიფოს როლი ფეხბურთის განვითარებაში.
დინამო: გისმენთ.
თსუ: განმეორდება 13 მაისი
ოღონდ ჯიბეზე ხელი გაისვით.
ბათუმი: საკმარისია, საკმარისი.
დინამო: ჯერ ერთი, იმიტომ არ დაგიწერ ორიანს, რომ შევარდენიძის გვარის ხარ!
კოლხეთი: მეორე კიდევ, დიდ უნივერსიტეტში სწავლობ!
ბათუმი: მესამე კიდევ, სიმართლეს რომ ამბობ, იმიტომ!
დინამო: სამიანებზე შევთანხმდეთ.
კოლხეთი: ცხრა ქულას გიწერთ.
ბათუმი: ეყოფა მერე მეორე წრეში?..
დინამო: დანარჩენზე თვითონ იზრუნოს, თუ უნდა გაისად თამაში?
თსუ: ორასი ათას დოლარის
თავი არა მაქვს მოტანის...

თბილისის «თსუ». XV ადგილი

ოთარ გაბელია: იმ ზამთარსაც პირველ ჯგუფში შევხვდებით

თბილისურ თსუ-ს უკეთესი დროც ახსოვს. გასული ჩემპიონატის დებიუტანტი ფინანსურად წელგამართულ კლუბად ითვლებოდა და მეცხრე ჩემპიონატის დასაწყისში არაერთი გუნდიც გაამწარა. ოთარ გაბელიას შეგირდები ერთხანს სატურნირო ცხრილშიც პირველობდნენ. მერე ნაცნობი სცენარი განმეორდა. კლუბის პატრონებს ფული შემოაკლდათ, შეიძლება ითქვას, გაკოტრდნენ და თსუ-ც ნელ-ნელა ცხრილის ჭაობში ჩაეფლო. მეათე ეროვნულის პირველი წრეც ვერაფერ სასიკეთოს უქადის სტუდენტებს. ცამეტი ქულა და მეთხუთმეტე ადგილი რა ნუგეშია, თუმცა თსუ-ს თავკაც ოთარ გაბელიას იმედი ჯერ არ დაუკარგავს...



ოთარ გაბელიას ფოტო

— რომელ ჭკუათმყოფელს დააკმაყოფილებს მსგავსი შედეგი. ჯგუფთან განშორებამდე ხომ ნახევარი ნაბიჯია. მაგრამ ერთი წუთით მდგომარეობას მეორე მხრიდან შევხედოთ. ფული არა, შეკრება არა, ფეხბურთელი არა. გუნდი ლამის სეზონის წინ შეკოწიწდა და ამას თუ გავითვალისწინებთ, მაშინ კიდევ კარგად გვითამაშია და ეგ არის. პრინციპში, ფეხბურთელებს მხოლოდ შექმნილი საგოლე მომენტების გაცუდებაზე თუ მივუთითებ, თორემ სხვა მხრივ სასაყვედურო ბევრიც არაფერია.

— განსაკუთრებით რომელი რგოლის გარჯას გამოარჩევდით?

— მცველების თამაშით ვარ კმაყოფილი. მართალია, უკანას თუ შუა ხაზი არ დაეხმარა, ბევრსაც ვერას გაწვდება, მაგრამ [illegible] მთელი პირველი წრის სიმძიმემ [illegible] ზურგზე გადაიარა.

— გუნდის ტაქტიკურ სქემაზე ვისაუბროთ. თსუ-ს შინ თუ გარეთ ერთი თავდამსხმელით უწევდა თამაში...

— ამ აზრს შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ. ჩვენ მხოლოდ ერთი თავდამსხმელი გვყავდა გუნდში. ამპლუით თავდამსხმელი მხოლოდ წიტაიშვილი იყო. ამიტომ საშინაო მატჩებში კობას ერთ ნახევარმცველსაც ვახმარდით, უმეტესწილად როსტიაშვილს უწევდა ამ მისიის შესრულება, თუმცა მას ნახევარდაცვაშიც უნდა ემუშავა. თუ შინ ლიდერთა ჯგუფის წარმომადგენელს ვეთამაშებოდით, მაშინ შეტევაში მხოლოდ ერთი გამოკვეთილი თავდამსხმელი გვყავდა. ასევე იყო გასვლით შეხვედრებშიც. საბოლოოდ ასე გამოდიოდა — ოთხი მცველი, ხუთი ნახევარმცველი და ერთიც თავდამსხმელი. თავს ვარარების საშუალებას ერთეულ მატჩებშიღა თუ ვაძლევდი. რამოდენაც ჩვენი საბანი იყო, ფეხსაც იმხელაზე ვშლიდით.

— ცუდად რომელი თამაში დაგამახსოვრდათ?

— კარგი რომელი იყო (ხუმრობით თქვა გაბელიამ)? იქნებ ბევრს მართლაც არ ვიმახსოვრებთ, მაგრამ იყო მატჩები, რომლებიც არ უნდა წაგვეგო. „მერანთან“ თამაში ავიღოთ. სრული უპირატესობა, რამდენიმე გამოუყენებელი საგოლე მომენტი და საბოლოოდ არცერთი ქულა. ფეხბურთში ასეც ხდება-ხოლმე.

— მოწინააღმდეგეთაგან ვის გამოყოფდით?

— „დინამოზე“ არაფერს ვიტყვი, ჩემპიონი ჯერჯერობით დაუმარცხებელია, თუმცა, ალბათ, „დინამო“ აქამდე არასდროს ყოფილა ასე სუსტი.

მომეწონა ქუთაისელთა მობილური გუნდი. რომ არა დროებითი ჩავარდნა, რაც კლუბის ფინანსურ გასაჭირთან იყო დაკავშირებული, „ტორპედო“ უფრო მეტს მიაღწევდა. კარგი იყო, „ლოკომოტივიც“, თუმცა პირადად მე მისგან მეტს ველოდი, ისევე, როგორც „ბათუმისგან“.

— ოთარ გაბელიას და თსუ-ს პირველ წრეში მსაჯები მაინცდამაინც არ წყალობდნენ. მათ შესახებ რას გვეტყოდით, უკეთესობა თუ ეტყობათ?

— სამ-ოთხ მატჩს თუ არ ჩავთვლით, სასაყვედუროც არაფერი მაქვს, მაგრამ იმ მატჩებში აშკარად საკმაოზე მეტად სცოდავდნენ. თუმცა მე მაინც ვფიქრობ, რომ შეუძლიათ კარგად მსაჯობა, თუ, რა თქმა უნდა, თავად მოინდომეს.

— გუნდის ფინანსურ მხარეს დავუბრუნდეთ. პირველ წრეში დავალიანება არაერთ ლარს ითვლიდა. ფეხბურთელებიც უკმაყოფილონი იყვნენ, არც მწვრთნელებს გილხინდათ. თუ გამოსწორდა ამ მხრივ საქმე?

— ჩათვალეთ, რომ დავალიანება დაფარულია. უფრო სწორად, მისი 90 პროცენტი. ახალი პრეზიდენტის ხელშეწყობით ხელფას-პრემიები მეორე წრეში პრობლემა არ უნდა იყოს. ერთი და ორი დღის დაგვიანებას მოვითმენთ, სულ არარაობას ყველაფერი სჯობია.

— თსუ არაერთმა ფეხბურთელმა დატოვა, მიზეზი ისევ უფულობა იქნებოდა.

— მთლად ასეც არ იყო. „დინამოსგან“ ნათხოვარი ბათიაშვილი და წიტაიშვილი „დინამოსვე“ დაუბრუნდნენ. ზოგს მართლაც ვერ ვაკმაყოფილებდით, გუნდის ბიუჯეტი ფეხბურთელთა გაზრდილ მოთხოვნებს ვერ აუვიდოდა და მათთან განშორებამ მოგვიწია. თანაც ხელმძღვანელობამ გუნდის გაახალგაზრდავება გადაწყვიტა. შეიძლება მთლად [illegible] შესაფერისი პერიოდი ვერ ავირჩიეთ, რადგან გუნდი აუტსაიდერთა შორისაა, მაგრამ, ალბათ, ასე სჯობს. ფეხბურთელი მოიყვანო, მერე ვერ გადაუხადო და მანაც კრიტიკულ მომენტში მიატოვოს თამაში, დაღუპულია საქმე. გარდა ამისა, მე ფეხბურთელს ვერ მოვატყუებ. შევპირდები, უნდა მივცე კიდეც. ახლა ყველამ იცის, რასაც მიიღებს, თანაც სტუდენტები არიან და დარწმუნებული ვარ, გუნდის გადასარჩენად ბოლომდე იბრძოლებენ.

— ფაქტობრივად, ისევ უთავდამსხმელოდ რჩებით...

— არც მთლა, ასეა საქმე. თითქმის გადაწყვეტილია, „დინამო 2“-ის გონჩაროვი ჩვენთან ითამაშებს. ახალგაზრდების იმედიც მაქვს, დეკანოსიძე, ნინუა, სვანაძე, ბუკია, თოლორაია პერსპექტიული ბიჭები არიან.

— ძირითადი ბირთვის გარდა თქვენთან დაახლოებით 35 ფეხბურთელი ისინჯებოდა. ნუთუ არც ერთმა არ ივარგა?

— მთელი ჩვენი უბედურება, იცით, რა არის? განურჩევლად ყველას, გამოცდილსაც და დამწყებსაც, თავი პროფესორი ჰგონია. ფეხბურთის თამაშის სწავლა მაინცდამაინც პირველ ჯგუფში უნდათ, ყოველგვარი პრაქტიკის გარეშე. არავის სურს მეორე ჯგუფიდან დაწყება და გამოცდილების მიღება. პირდაპირ მოგვადგებიან და ძირითადში ადგილს ითხოვენ. ფეხბურთს რომ ასე ვერ ითამაშებენ, ფაქტია.

— როგორია თსუ-ს საწვრთნელი პროცესი?

— ეს წვრთნა კი არა, წვალებაა. ჯერ მინდორზე, ბოდიში, სილისსაფრიან მოედანზე ირბინე, მერე დასაბანად ცხელი წყალი ეძებე და ასე დაუსრულებლად. მიუხედავად ამისა, თამამად ვიტყვი, ჯერ თსუ-ს ვარჯიში არ ჩაუგდია. მართალია, დღეში ერთხელ ვვარჯიშობთ, მაგრამ დღევანდელ პირობებში ესეც საქმეა.

— დაბოლოს, რა ელის თსუ-ს?

— არ უნდა გავვარდეთ. ამისთვის მწვრთნელები და ფეხბურთელები ყველაფერს ვიღონებთ და თუ ღმერთმაც გადმოგვხედა, ერთმანეთს მომავალი წლის იანვრის საწყის დღეებშიც შევხვდებით პირველი წრის შესაჯამებლად.

მამუკა კვანტალიანი

ბადრი კეთილაძის ფოტო

თენგიზ კობიაშვილი

თსუ-თან ვერავინ გაისეირნებს

პირველ წრეში არასახარბიელო ასპარეზობის კვალობაზე თუ ვინმე გამოირჩეოდა თსუ-ს შემადგენლობაში, ერთ-ერთი უდავოდ კაპიტანი თენგიზ კობიაშვილი გახლდათ. პირველ წრეში გუნდის თამაშის შეფასებაც სწორედმას ვთხოვეთ.

— შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენს გამოსვლას უარყოფითად ვაფასებ. მე-15 ადგილით, ბუნებრივია, კმაყოფილნი ვერ ვიქნებით. აი, თამაშის დონე კი უფრო მაღალი იყო — მხოლოდ ქუთაისის „ტორპედომ“ გვაჯობა, დანარჩენებს კი თითქმის თანაბრად ვეთამაშეთ.

— ასეთი სუსტი თამაში რამ განაპირობა?

— მთავარი მიზეზი მომენტების გამოუყენებლობაა. ბევრი შეხვედრა იმის გამო წავაგეთ, რომ უამრავი საგოლე მომენტით ვერ ვისარგებლეთ. ეს ძირითადად გამოუცდელობის ბრალი გახლდათ. გუნდში ახალგაზრდა ბიჭები გვყავს, რომლებიც უმაღლეს ჯგუფში თამაშს ჩვეულნი არ იყვნენ. გარდა ამისა, შედეგზე დიდი გავლენა იქონია მოსამზადებელი პერიოდის ჩაგდებამაც. პირობების უქონლობის გამო ჩემპიონატი, ფაქტობრივად, მოუმზადებლებმა დავიწყეთ. მხოლოდ ორკვირიანი ვარჯიშით ფონს ვერ გავიდოდით. ყველაფერმა ამან კი ასეთი შედეგი მოგვიტანა.

— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— არა, ჩემი თავით ყველაზე უკმაყოფილო ვარ. თუმცა ამასაც აქვს თავისი მიზეზები. კერძოდ ის, რომ მოუმზადებლობას ტრავმაც დაემატა და შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოვავლინე. თითოეულ მატჩზე იმის შიშით გავდიოდი, რომ ტრავმა არ გამრთულებოდა, ეს ჩემს თამაშსაც აშკარად ეტყობოდა. ვფიქრობ, რაც გავაკეთე, იმაზე ბევრად მეტი შემიძლია.

— მსაჯობაზე რას გვეტყოდი?

— საერთოდ, მატჩის მსვლელობისას ხშირად მაღიზიანებს მსაჯების მოქმედება, მაგრამ თუ წავაგეთ, თამაშის შემდეგ უპირველესად ჩემი თავით ვარ ხოლმე უკმაყოფილო. იმას ვერ ვიტყვი, რომ პირველ წრეში არბიტრთა არაობიექტურობამ ქულები დაგვაკარგვინა. ერთადერთი „ბათუმთან“ მატჩი იყო, რომელშიც მსაჯები რამდენჯერმე უხეშად შეცდნენ. საერთოდ, მათ მოქმედებას პირველ წრეში დადებითად ვაფასებ. წინა წლებთან შედარებით პროგრესი ნამდვილად არის.

— თანაგუნდელთაგან ყველაზე კარგად ვის უგებ მინდორზე?

— ყველასთან ურთიერთგაგება მაკავშირებს, მაგრამ მაინც ოთარ როსტიაშვილს გამოვყოფდი. მასთან ყველაზე უკეთ ვარ შეთამაშებული.

— პირველ წრეში ყველაზე მეტად რომელი გუნდი მოგეწონა?

— გამაკვირვა „ლოკომოტივის“ და გორის „დილას“ თამაშმა. მათგან ამდენს ნამდვილად არ ველოდი. სამაგიეროდ, „ბათუმმა“ გამიცრუა იმედები. ისინი ყოველთვის ჩემპიონატის ფავორიტებად ითვლებიან და მათი სუსტი თამაში მოულოდნელი იყო.

— შენი აზრით, გამართლებულია ფეხბურთელთა ასე მასიურად წასვლა უცხოეთში?

— ვთვლი, რომ სწორად იქცევიან. დღეს საქართველოში ისეთი მდგომარეობაა, ახალგაზრდა კარგ ფეხბურთელად ვერ გაიზრდება. ფაქტობრივად, ელემენტარული პირობებიც კი არ არის. ამიტომ თუ კაცს ფეხბურთელად ჩამოყალიბება სურს, ჯობია, ისევ იქ წავიდეს, სადაც ამის საშუალება ექნება.

— თავადაც ხომ არ აპირებ კარიერის საზღვარგარეთ გაგრძელებას?

— უკვე მესამე წელია, თსუ-ში ვთამაშობ. წასვლის სურვილი, ბუნებრივია, მეც მაქვს, მაგრამ მეორე წრეს აქ ჩავამთავრებ. მერე ვნახოთ, თუ ჩემი მსურველი გამოჩნდა, ნამდვილად წავალ. უკვე 23 წლის ვარ და მეტი ველარ გავიზრდები.

— როგორ ფიქრობ, რის მიღწევა ძალუძს მეორე წრეში თსუ-ს?

— ჩვენი უმთავრესი მიზანი ჯგუფში ადგილის შენარჩუნებაა, მაგრამ ეს ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა იმედს არ ვკარგავ. სეზონის განახლებისთვის უკვე დავიწყეთ მზადება და იმედია, მეორე წრეს კარგ ფორმაში შევხვდებით. მართალია, დიდ მიზნებს არ ვისახავთ, მაგრამ ერთს გპირდებით — ჩვენთან ვერავინ გაისეირნებს.

ვანო ოძრობირიძე

სფფ უჩვეულოდ იქცევა

დღეს „შერატონ მეტეხი პალასი“ სფფ-ს აღმასკომის მორიგ სხდომას უმასპინძლებს. აღმასკომი სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის დებულებასაც განიხილავს და ვინძლო გაზაფხულს ქართული ფეხბურთი ცვლილებებითაც შეეგებოს.

აღმასკომის სხდომა თავისთავად მნიშვნელოვანი ამბავია, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სხდომის დამთავრების შემდეგ სფფ-ს ჩინოსნები სპეციალურად ჟურნალისტებისთვის გამართავენ პრესკონფერენციას, სადაც უპასუხებენ მასმედიისთვის საინტერესო საკითხებს.

პრესკონფერენციის შემდეგ კი სპეცდანიშნულების ავტობუსი მარშტრუტით — „მეტეხი პალასი“ — სპორტის სასახლე“ ჟურნალისტებს მიხეილ მესხის სახელობის ტურნირზე მიბრძანებს, რათა ამ უკანასკნელთ ტურნირის დასკვნითი ნაწილის ხილვის საშუალება მიეცეთ.

ვერაფერს იტყვი, სასიამოვნო ჟესტია და ჩვენი სინამდვილიდან გამომდინარე, უჩვეულოც.

კონსტანტინე გოგიშვილი

ლოდინის დრო

წუხელ რუსეთის ჩემპიონი მოსკოვის „სპარტაკი“ მოსამზადებლად კვლავ ისრაელს გაემგზავრა. გუნდის მწვრთნელის ოლეგ რომანცევის სიაში ერთ ქართულ გვარს ისევ წაიკითხავთ — ბოლო ხანს „ბათუმში“ მოთამაშე დავით ჭიჭვეიშვილიც „სპარტაკთან“ ერთად ივარჯიშებს.

არა და არ გადაწყდა ამ ბიჭის მოსკოვურ კლუბში ჩარიცხვის ამბავი. „სპარტაკის“ ხელმძღვანელობა, ისევე, როგორც ადრე, ზუსტი პასუხის გაცემისგან ახლაც თავს იკავებს. მხოლოდ ამბობს, ეგ ბიჭი ძალიან მოგვწონს და კმაყოფილები ვართო. ისე, სხვაგვარად რომ იყოს, რომანცევი ის კაცი არაა, მეორე შეკრებისას ფეხბურთელი ტურისტად იახლოს და რაკი ასეა, სრული უფლება გვაქვს, სპარტაკელებს ვენდოთ და მეტად კარგი ტრანსფერის მოლოდინში ვწეროთ — ჭიჭვეიშვილი „სპარტაკს“ ხელმეორედ გაჰყვა ისრაელში, ანაც თანამეგობრობის ჩემპიონთა ტურნირში გაიმარჯვაო.

სიტყვამ მოიტანა და იმ ყბადაღებული თასის გათამაშებაში დათოს მონაწილეობაზეც ვთქვათ.

შესაძლოა იკითხოთ, 45 წუთზე მეტი რად არ ითამაშაო. გეტყვით, რომ მთელი ტურნირის განმავლობაში ჭიჭვეიშვილს მაღალი სიცხე ჰქონდა და მწვრთნელებმაც ამიტომ არ ათამაშეს. როგორც თავად დათომ თქვა, კიევის „დინამოსთან“ მატჩის დროსაც იგი მთლად ჯანმრთელი ვერ იყო, სული ეხუთებოდა და მაინც იბრძოდა. „სპარტაკის“ ხელმძღვანელები კი ისედაც კმაყოფილნი დარჩენილან. ერთი სიტყვით, უახლოეს ორ კვირაში დანამდვილებით გადაწყდება, დარჩება თუ არა ჭიჭვეიშვილი „სპარტაკში“.

კობა ინასარიძე

იქნებ ენდონ ჯოლოხავას

მიმტევებლობის ჰიმნი „ამბავი ვეფხისა და მოყმისა“ საქართველოში დაიწერა და ცხადია, ქართველ ხალხს ვერავინ ასწავლის არსს მიტევებისა. უშეცდომო მხოლოდ ღმერთია. მთავარია, ადამიანმა შეგნებულად არ ჩაიდინოს დანაშაული, მერე გვიანია თითზე კბენა. როცა კაცს სინანული ანუხებს და ძალუძს, აღიაროს თავისი შეცდომა, ეს უკვე რაღაცას ნიშნავს. ის რაღაც კი მისდამი ნდობის გამოცხადების, შანსის მიცემის საბაბი უნდა იყოს.

ჟიული ჯოლოხავა ჯერ მხოლოდ 17 წლისაა. აფხაზეთიდან დევნილი 18-წლამდელთა ნაკრების მთავარი მეკარეა. ფედერაციისგან ერთი წლით დისკვალიფიცირებული ფეხბურთელის შეწყალება თვით ჯაბუკთა გუნდის მთავარმა მწვრთნელმა ვახტანგ კოპალეიშვილმაც ითხოვა. ნიჭიერი ბიჭია და ვაპატიოთ, ნუ დავკარგავთო.

არა, მისი საქციელი გაუმართლებელია და სამართლიანადაც დასაჯეს. სამი თვეა, უფეხბურთოდ ცხოვრობს. უსახლკაროდ დარჩენილს ისედაც არეული ცხოვრება კიდევ უფრო აერია და...

დღეს სფფ-ს აღმასკომისგან შეწყალებას ითხოვს. ჟიული რომ გულწრფელად ინანიებს, მასთან საუბარმაც დამარწმუნა.

— ასეთი რა ჩაიდინე?

— გაგრის გუნდში თამაშისას ზესტაფონს ვსტუმრობდით. ქულა ჰაერივით გვჭირდებოდა. მთელი მატჩის განმავლობაში მსაჯები არ გვწყალობდნენ. ანგარიში 2:2 იყო და ბოლო წუთზე კუთხური ჩამოგვიწოდეს, ბურთზე გავედი და ისე დამეჯახნენ, ლამის ბურთიანად კარში შემაგდეს. მსაჯმა ცენტრისკენ გაიშვირა ხელი და... ნერვები უკვე ველარ მოვთოკე, ასკაროლის ხელით შევეხე.

— თავის მართლება ხომ არ გამოგდის?

— არა, არა. თქვენ თვითონ მთხოვეთ, მომეყოლა ის ამბავი, თორემ იმ მატჩის გახსენება დღემდე მზარავს. სასტიკად შევცდი. გამოუცდელობამ თავისი ქნა. წამიერად გადამავიწყდა, რომ მსაჯი ფეხბურთში მთავარი ფიგურაა, ემოციებს ავყევი და სამართლიანადაც დავისაჯე...

— ვახტანგ კოპალეიშვილი თავდებში გიდგება და ნდობას გიცხადებს.

— ვახტანგ მასწავლებელი ძალიან მიყვარს. მართლაც შვილივით მზრდის. მე კი შრომა წყალში ჩავუყარე. მისი ძალიან მერიდება. ყველაფრისთვის მადლობელი ვარ. დამიჯერეთ, ალალად ვნანობ ყოველივეს.

უფეხბურთოდ ჩემს ცხოვრებას აზრი არა აქვს. ჯერ მხოლოდ 17 წლის ვარ. ოღონდ ახლა მაპატიონ და გეფიცებით, ასეთ რამეს აღარ გავიმეორებ...

იქნებ ენდონ ამ ახალგაზრდა ბიჭს. იქნებ ენდონ მისი დამრიგებლის სიტყვას. იქნებ მისცენ ჯოლოხავას შანსი...

ხვიჩა სანიკიძე

ფირმების
რეგისტრაცია
აუდიტი
ოფშორული
კომპანიები
☎ 93-52-34
8-77-42-20-59
რუსთაველის 19

ბადრი კეთილაძის ფოტო

თამაზ ბოკერიას ერთბაშად სამი არსენალელი მეურვეობს

თავშენახული და მრისხანე სპორტის სასახლეში

მიხეილ მესხის ხსოვნის ტურნირი მინი-ფეხბურთში

ნახევარფინალები

ლოკომოტივი 3:0 დილა

1:0 კ. მელქაძე (38), 2:0, 3:0 დაუშვილი (42, 48)

გაფრთხილება: რ. ხაჭაპურიძე (დილა)

მსაჯი: მ. მალაღურაძე

ვიტ ჯორჯია 5:2 არსენალი 2

1:0 ა. ბოკერია (13), 2:0 ხაბულიანი (14), 2:1, 2:2 ლ. ჩხაიძე (16, 44), 3:2 ა. ბოკერია (45), 4:2, 5:2 მაზიაშვილი (46, 49)

გაფრთხილება: თ. ბოკერია, გუგუნავა (ორივე ვიტ ჯორჯია), ბერიანიძე, ლ. კაპანაძე, კუპატაძე (ყველა არსენალი 2)

გაძევება: ხაბულიანი (37, ვიტ ჯორჯია)

მსაჯი: ა. შილაკაძე

მაშ ასე, დღევანდელი დღეც და ათი წლის წინ დაარსებული და ფეხბურთის ფედერაციის მიერ წლეულს აღდგენილი მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი ისტორიის კუთვნილება გახდება. მინი-ფეხბურთში გათვითცნობიერებულ სპეციალისტთა და ჟურნალისტთა ვარაუდი გამართლდა. ფინალში ტურნირის ფავორიტებად მიჩნეული გუნდები გავიდნენ. „ლოკომოტივმაც“ და „ვიტ ჯორჯიამაც“ გაცემული ავანსები სრულიად გაამართლეს. რკინიგზელებმაც და ვიტელებმაც მთელი ტურნირი მობილურად, ორგანიზებულად ჩაატარეს და ფინალში გასვლაც დაიმსახურეს. თუ თემურ მახარაძის შეგირდებზე ამის თქმა დაუფიქრებლად შეიძლებოდა, მათი კარგი შემადგენლობის გამო, ახალგაზრდა ვიტელებმა ნამდვილად გაგვაცეს. ამ თქმის საფუძველს „ვიტ ჯორჯიას“ ახალგაზრდული შემართება და გასამარჯვებლად დაუოკებელი ჟინი გვაძლევს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ორი ვიტელი მიხეილ მაზიაშვილი და არჩილ ბოკერია მთელი ტურნირის მანძილზე გამოირჩეოდა. ბომბარდირთა დავაშიც ისინი ლიდერობენ (ბოკერიამ 6 გაიტანა, მაზიაშვილმა — 5). ალბათ, საუკეთესო მოთამაშის პრიზიც ერთ-ერთ მათგანს ერგება.

ახლა კი გუშინ გამართულ ნახევარფინალებზე ვთქვათ. სანამ პირველი ნახევარფინალური შეხვედრა გაიმართებოდა, მანამდე სპორტის სასახლეში შეკრებილმა მაყურებელმა ამხანაგური თამაში იხილა. ერთმანეთს მინი-ფეხბურთში „ჭიპმოჭრილი“ ფეხბურთელები და „ლეგიონერები“ გაეჯიბრნენ. ამ შეხვედრაში თავის დროზე დიდ ფეხბურთში სახელდაგდებულმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი: კახა გოგიჩაიშვილი, გია ჯიშკარიანი, ნუგზარ ლობჟანიძე, ბუბა ტყავაძე, ზაალ ქოჩლაძე, დათო სოლოღაშვილი და სხვები. ეს ამხანაგური მატჩი აფხაზეთში დაღუპულ ზაზა ბენდელიანის ხსოვნას მიეძღვნა, ლეგიონერებმა კი „ბენდელას ძმაკაცებთან“ დაძაბულ ორთაბრძოლაში იმარჯვეს.

პირველად ფინალის საგზურის მოსაპოვებლად „ლოკომოტივი“ და გორის „დილა“ შეხვდნენ. რკინიგზელებმა ჯგუფში ორივე შეხვედრა ისე მოიგეს, თავიანთ კარში ერთი ბურთიც არ გაუშვეს. გორელებმა კი ნახევარფინალის საგზური თსუ-ს დიდი ანგარიშით ძლევის შემდეგ მოიპოვეს. დებულების თანახმად, ნახევარფინალური შეხვედრები 20-20-ის ნაცვლად ოცდახუთ წუთს [illegible] გაგრძელებულიყო, ძირითადი დროის [illegible] ფრედ [illegible] მეკარეების შემთხვევაში კი პირდაპირ შვიდმეტრიანები (მინი-ფეხბურთის პენალტები) დაინიშნებოდა. რკინიგზელებს ამ მატჩში ზუგდიდის „ოდიშთან“ გაძევებული მეკარე დავით ჯანელიძე დაუბრუნდათ. მთლიანობაში პირველი ტაიმი თვალსასეირო გამოდგა და ორივე გუნდის მონდომების მიუხედავად, ფრედ 0:0 დასრულდა. მეტოქეები არც მეორე ნახევარში [illegible]ობდნენ რამეს და რომ არა მეკარ[illegible] ოსტატობა, ვინ იცის, როგორ განკითარდებოდა მოვლენები. რკინიგზელთა მწვრთნელმა თემურ მახარაძემაც ნაცად ხერხს მიმართა და შედეგმაც არ დაყოვნა. კოტე მელქაძემ შორეული დარტყმით დაამწუხრა გორელთა მეკარე დავით მდივანი. ამან „დილას“ მწვრთნელის ივანე თაყაძის შეგირდები თითქოს გამოაფხიზლა, მაგრამ 6 წუთის განმავლობაში კახი დაუშვილის [illegible] შესრულებულმა დუბლმა ისინ [illegible]ოდ გატეხა.

მეორე ნახევარფინალი „ვიტ ჯორჯიასა“ და „არსენალი 2“-ს შორის პირველზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა. არმიელებს ჯგუფში ბოლნისის „სიონთან“ მეორე მატჩში გაძევებული აკაკი კაკაშვილი, ზაზა დავითაშვილი და ვახტანგ გაგუა აკლდათ. მიუხედავად ამისა, მათ არჩილ ბოკერია — მაზიაშვილის [illegible]ეტს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, დამარცხებით კი ბოლო ხუთ წუთში დამარცხდნენ. ვიტელებს იოლ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებდნ[illegible] [illegible]გრამ ანგარიში ძალთა თანაფარ[illegible] სრულად არ ასახავს. ბოლო ხუ[illegible] წუთში ისევ და ისევ არჩილ ბოკერიამ და მიხეილ მაზიაშვილმა გამოიდეს თავი და ორივემ დუბლიც მიითვალა. არმიელთაგან გატანილი ორივე გოლი ლაშა ჩხაიძემ ჩაიწერა აქტივში, როდესაც 0:2-ზე ჯერ ერთი, მერე [illegible] მეორე ბურთიც გაქვითა. შეიქმნა [illegible]ეჭდილება, რომ ძირითადი დროც [illegible]ერედ დასრულდებოდა, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას“ მაზიაშვილი და არჩილ ბოკერია ჰყავდა. მათ ჩინებულად გაართვეს თავი დაკისრებულ მოვალეობას და თავიანთ გუნდს ფინალში თამაში დაუბევეს.

დღეს, როგორც უკვე გითხარით, მიხეილ მესხის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირის ფინალია, მანამდე კი, 16 საათზე, მესამე ადგილისთვის მატჩში ნახევარფინალში დამარცხებული „დილა“ და „არსენალი 2“ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. საღამოს, 17.30 სთ-ზე, წინასწარ ნავარაუდევი ფინალი — „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ — შედგება. ერთიცაა, საინტერესოა, როგორ დასრულდება რკინიგზელთა დაცვის ბურჯის, მინიდან დიდ ფეხბურთში გადასული პაატა ბარნოვისა და მისი თანაგუნდელების პაექრობა მაზიაშვილ — ბოკერიას დუეტთან. „ლოკომოტივი“ ხომ აქამდე გოლგაუშვებლად თამაშობს.

გიორგი ვაშაკიძე

ბადრი კეთილაძის ფოტო

პაატა ფეზუაშვილმა (№2) და რევაზ ხაჭაპურიძემ ვარლამ კილასონიას არ გაატანინეს, მაგრამ მაინც წააგეს

ამხანაგური მატჩი 10 თებერვალი. ხორვატია - დანია

27 მარტს ბელგრადში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ალბათ ყველაზე საინტერესო შეხვედრა გაიმართება — იუგოსლავიამ ხორვატიას უნდა უმასპინძლოს. ხორვატთათვის ეს მატჩი ომის ტოლფასია, იმ ომისა, რომელმაც 1991 წელს ეს ორი ქვეყანა ერთმანეთს დააშორა.

ამ მეტად პრინციპული ორთაბრძოლისთვის მზადებას მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორები აქედანვე შეუდგნენ და მეტოქედ დანია შეარჩიეს.

მიროსლავ ბლაჟევიჩმა, ხორვატთა მწვრთნელმა, სკანდინავიელებთან მატჩისთვის მოსამზადებლად გუნდში ბევრ ცნობილ ფეხბურთელს უხმო, თუმცა ახლებიც არ დავიწყებია.

ხორვატთა ნაკრებში მოხვდა „პერუჯას“ თავდამსხმელი მილან რაპაიჩი, რომელიც ამ სეზონში სერია A-ში კარგად ირჯება. გუნდში დაბრუნდა ესპანური „ვალიადოლიდის“ ფორვარდი ალენ პეტერნაკიც. ბლაჟევიჩმა „ლაციოს“ თავდამსხმელი ალენ ბოქშიჩი მიიწვია, თუმცა მისი მინდორზე გასვლა სათუოა. მწვრთნელის თქმით, მან შეიძლება ოცი-ოცდახუთი წუთი ითამაშოს, ისიც მაშინ, თუ ჯანმრთელობა ხელს შეუწყობს.

ნაკრებში არაა რობერტ პროსინეჩკი, რომელმაც თქვა, სანამ გუნდის მწვრთნელი ბლაჟევიჩი იქნება, ქვეყნის ღირსებას არ დავიცავო. თავად პროსინეჩკისგან ათვალწუნებულმა მწვრთნელმა განაცხადა, იმედია, იგი აზრს შეიცვლის, მისთვის ასე სჯობსო.

ხორვატთა გუნდის შემადგენლობა: მეკარეები — მარიან მრმიჩი (ვარტექსი). კიდევ ერთ მეკარეს მოგვიანებით დაასახელებენ; მცველები — ზვონიმირ სოლდო (შტუტგარტი, გერმანია), იგორ შტიმაცი (დერბი ქაუნთი, ინგლისი), დარიო სიმიჩი (ინტერი, იტალია), იგორ ტუდორი (იუვენტუსი, იტალია), მარიო ტოკიჩი (კროაცია); ნახევარმცველები — მარიო სტანიჩი (პარმა, იტალია), დანიელ სარიჩი, [illegible]ოსლავ იურჩიჩი, სილვიო მარიჩი, მარიო ცვიტანოვიჩი (კროაცია), რობერტ იარნი (რეალი, ესპანეთი), ზვონიმირ ბობანი (მილანი, იტალია), ალიოშა ასანოვიჩი (პანათინაიკოსი, საბერძნეთი); თავდამსხმელები — მილან რაპაიჩი (პერუჯა, იტალია), დავორ შუკერი (რეალი, ესპანეთი), გორან ვლაოვიჩი (ვალენსია, ესპანეთი), ალენ პეტერნაკი (ვალიადოლიდი, ესპანეთი), დავორ ვუგრინეკი (ტრაბზონსფორი, თურქეთი), დამირ მილინოვიჩი (რიეკა), ალენ ბოქშიჩი (ლაციო, იტალია), იურიცა ვუჩკო (ჰაიდუკი).

ამხანაგური მატჩი 10 თებერვალი. ინგლისი - საფრანგეთი

მალე ინგლისის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგებს უმასპინძლებს. მეტად მნიშვნელოვანი თამაშის წინ მასპინძელთა თავკაცი გლენ ჰოდლი თანამდებობიდან დაითხოვეს. საფრანგეთის გუნდთან პაექრობაში ინგლისელებს ჰოდლის დროებით შემცვლელი ჰოვარდ უილკინსონი უთავკაცებს.

ახალმა მწვრთნელმა, რომლის დებიუტიც უძლიერეს მეტოქესთან შედგება, ინგლისის ნაკრები მიწვეულ ფეხბურთელთა ვინაობა გუშინ გააცნო ხალხს. უფრო სწორად, ეს შემადგენლობა ჰოდლის შერჩეული ყოფილა, უბრალოდ, მწვრთნელყოფილმა მისი საჯაროდ გამოცხადება ვერ მოასწრო. თავად უილკინსონს ჰოდლის რჩეულნი არ დაუწუნებია.

ფრანგებთან საპაექროდ პაკრებში გამოიძახეს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ზანგი თავდამსხმელი ენდი კოული, ექსნიუკასლელი მიმდინარე სეზონში შესანიშნავად ირჯება, პრემიერლიგაში ათი გოლის გატანაც მოასწრო და საერთოდ, კარგად თამაშობს. კოულის გამოძახება დროული იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ თავად ფეხბურთელი მას არ ელოდა. „ნაკრებზე კარგა ხანია, ხელი მქონდა ჩაქნეული და გუნდში დაბრუნებას თუ მოვახერხებდი, ვერ წარმომედგინა“ — განუცხადა კოულმა ჟურნალისტებს.

ინგლისელთა ღირსების დაცვის შესაძლებლობა მიეცა პირველდივიზიონელ „იფსვიჩის“ ნახევარმცველ კიერონ დაიერს და მეკარე რიჩარდ რაიტს აი, პოლ გესქოინისთვის კი კვლავ არ გამოინახა გუნდში ადგილი.

10 თებერვალს „უემბლიზე“ დიდი ორთაბრძოლაა — ფეხბურთის სამშობლო ინგლისსა და მსოფლიოს ჩემპიონ საფრანგეთს შორის. ამ გუნდების ბოლო შეხვედრა, რომელიც 1997 წლის ივნისში საფრანგეთში გაიმართა, ალბიონელთა 1:0 გამარჯვებით დასრულდა.

ინგლისის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — დევიდ სიმენი (არსენალი), ნაიჯელ მარტინი (ლიდს იუნაიტედი), რიჩარდ რაიტი (იფსვიჩ თაუნი); მცველები — მარტინ კეონი, ტონი ადამსი (არსენალი), ენდი ჰინჩკლიფი (შეფილდ უენსდეი), გრემ ლე სო (ჩელსი), გარი ნევილი (მანჩესტერ იუნაიტედი), რიო ფერდინანდი (ვესტ ჰემ იუნაიტედი), სოლ კემპბელი (ტოტენჰემ ჰოთსფური), გარეთ საუთგეიტი (ასტონ ვილა); ნახევარმცველები — ნიკი ბათი, დევიდ ბექემი, პოლ სქოულზი (მანჩესტერ იუნაიტედი), დარენ ანდერტონი (ტოტენჰემ ჰოთსფური), პოლ მერსონი (ასტონ ვილა), ჯეიმი რედნაპი, პოლ ინსი (ლივერპული), კეირონ დაიერი (იფსვიჩ თაუნი); თავდამსხმელები — ალან შირერი (ნიუკასლ იუნაიტედი), რობი ფაულერი, მაიკლ ოუენი (ლივერპული), დიონ დაბლინი (ასტონ ვილა), ენდი კოული (მანჩესტერ იუნაიტედი)

ამხანაგური მატჩი 10 თებერვალი. ინგლისი - საფრანგეთი

1906 წლიდან მოყოლებული ინგლისი და საფრანგეთი ერთმანეთს 34-ჯერ შეხვედრიან. მსოფლიოს ჩემპიონებს, რაც უნდა უცნაური იყოს, მეტოქე მხოლოდ შვიდჯერ დაუმარცხებიათ, თან „უემბლიზე“ ვერც ერთხელ ვერ მოუგიათ. არვინ იცის, რას მოიტანს ფრანგთა მორიგი სტუმრობა „უემბლიზეო“. ერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება — მატჩი ძალიან დაძაბული იქნება.

ინგლისს წლეულს ამხანაგური შეხვედრა არ უთამაშია, ფრანგებმა კი მაროკო დაამარცხეს 1:0. სტუმართა მწვრთნელმა როჟე ლემერმა განაცხადა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ასეთი ძლიერი მეტოქე ჯერ არ გვყოლია, ვეცდებით, „უემბლიზე“ დავამტკიცოთ, რომ მსოფლიოს ნამდვილი ჩემპიონები ვართო.

მწვრთნელმა ინგლისელებთან მატჩისთვის მოსამზადებელ პერიოდში 18 ფეხბურთელი იხმო. ლემერს არ გამოეპარა „მარსელის“ მეკარე სტეფან პორატო, რომელიც ქვეყნის პირველ გუნდში პირველად გამოიძახეს. პორატომ ინვარში ხორვატებთან კარგად ითამაშა, თუმცა მაშინ საფრანგეთის მეორე გუნდის ღირსებას იცავდა.

გუნდშია თავდამსხმელი ლილიან ლასლანდი, რომელმაც ბოლო ტურში „მარსელის“ წინააღმდეგ შესანიშნავად ითამაშა. მან მარსელელებს გოლიც გაუტანა. ლასლანდის თაობაზე ლემერმა განაცხადა, იგი ფლორიან მორისის შემცვლელად მოვიწვიეო. გუნდში ვერ მოხვდა „მონაკოს“ შემტევი დავიდ ტრეზეგე, რომელიც ტრავმირებულია, აი, მსოფლიოს ჩემპიონი, „გლაზგო რეინჯერსის“ თავდამსხმელი სტეფან გივარში კი ჯერჯერობით ლემერის სათადარიგო მოთამაშეთა სიაშია.

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობა: მეკარეები — ფაბიენ ბარტეზი (მონაკო), სტეფან პორატო (მარსელი); მცველები — ლორან ბლანი (მარსელი), ვინსენ კანდელა (რომა, იტალია), მარსელ დესაი, ფრენკ ლებეფი (ჩელსი, ინგლისი), ბიქსენტ ლისარასუ (ბაიერნი, გერმანია), ლილიან ტურამი (პარმა); ნახევარმცველები — ალენ ბოგოსიანი (პარმა, იტალია), დიდიე დეშამპი, ზინედინ ზიდანი (იუვენტუსი, იტალია), იური ჯორკაეფი (ინტერი, იტალია), ემანუელ პეტი, პატრიკ ვიეირა (არსენალი, ინგლისი); თავდამსხმელები — ნიკოლა ანელკა (არსენალი, ინგლისი), კრისტოფ დიუგარი, რობერტ პირესი (მარსელი), ლილიან ლასლანდი (ბორდო).

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია **სატელეკომ პლუსი**
☎ 99 67 67, 98 30 20

ენას ძვალი უნდა ჰქონდეს?

გუს ჰიდინკი

გუს ჰიდინკის „რეალის“ მწვრთნელის თანამდებობიდან ან მოხსენით, ან თვითონ წავიდესო, მოითხოვეს აღშფოთებულმა გულშემატკივრებმა. რატომ? იმიტომ, **რომ ჰოლანდიელმა „დაჩ უორლდის“ კორესპონდენტს ისეთი ინტერვიუ მისცა, ესპანეთის დედაქალაქში თავს მეხივით რომ დაატყდათ.**

შაბათის „დაჩ უორლდში“ ჰიდინკი ამბობდა: „მადრიდის“ „რეალი“ გახლავთ ცნობილი გუნდი, რომელსაც **უდიდესი** რეპუტაცია, ვალი და ცოტა ფული აქვს“.

მწვრთნელმა დაადასტურა, რომ ჰოლანდიურ გაზეთში დაბეჭდილი სიტყვები მას ეკუთვნის, მაგრამ ინგლისის ნაკრების მწვრთნელის, გლენ ჰოდლისა არ იყოს, თქვა, კონტექსტიდან ამოღებულიაო.

სამშაბათ საღამოს „რეალის“ პრეზიდენტმა, ლორენსო სანსმა ჰიდინკი საჯაროდ გააკრიტიკა. მან თქვა:

„რატომ ლაპარაკობს ეკონომიკურ საკითხებზე, მან ხომ არაფერი იცის მათ შესახებ? ერთადერთი, რაც ჰიდინკმა სწორედ თქვა, ის არის, რომ კლუბის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს გუნდში პირობების გასაუმჯობესებლად“.

სანსმა დასძინა, რომ ჰიდინკს სთხოვა, მეორედ აღარ ილაპარაკოს ისეთ თემებზე, რომელთა თაობაზე ბევრი არაფერი იცის, მაგრამ მის თანამდებობიდან მოხსნას არ ვიჩქარებო. ალბათ, მხოლოდ ჯარიმას აკმარებს.

ჰიდინკის ინტერვიუმ ესპანურ გაზეთებში დიდი გამოხმაურება გამოიწვია, ბოლო დღეებში სულ ამაზეა საუბარი. „მარკა“ წერდა: „ჰოლანდიელს, რაც ესპანეთში ჩამოვიდა, ასეთი რთული დღეები არ ჰქონია“.

ჰიდინკის სამწუხაროდ მის მდგომარეობას ვერც მოედანზე მოპოვებული წარმატებები ამაგრებს. „რეალი“ სადღეისოდ 20 გუნდიან პრიმერა დივიზიონში მეხუთე ადგილზეა და რაც მთავარია, ცხრილის სათავეში მთავარი მეტოქე, „ბარსელონა“ უდგას.

14 თებერვალს ჰიდინკის გუნდი ბარსელონაში ჩადის. იქ ბევრი რამ გადაწყდება, მაგრამ 10 დღის წინ „დეპორტივო ლა კორუნიასთან“ 0:4 წაგებამ საშინელი ეჭვები აღძრა.

ფეხბურთის რუკასთან



უელსელმა რაიან გიგზმა შესაძლოა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში მილანის „ინტერთან“ ვერ ითამაშოს. „მანჩესტერ იუნაიტედის“ ფეხბურთელმა მუხლის მყესები ოთხშაბათს, „დერბისთან“ მოგებულ შეხვედრაში გაიწვიტა. პრემიერლიგის შეხვედრა მანჩესტერელმა ტრინიდადელი თავდამსხმელი დუაიტ იორკის მიერ 65-ე წუთზე გატანილი გოლით მოიგეს, გიგზი კი მანამდე, მე-10 წუთზე დაშავდა. ჯერ არაა დადგენილი, როდის მომჯობინდება უელსელი. სხვათა შორის, გასულ სეზონში რაიან გიგზმა ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მონაკოს“ წინააღმდეგ იმიტომ ვერ ითამაშა, რომ „დერბისთან“ შეხვედრისას იგივე ტრავმა მიიღო. ისტორია ახლაც განმეორდა. ოლდტრეფორდელთა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა განაცხადა, სამწუხაროა, რომ გიგზი დაშავდა, გუნდს ძალიან დააკლდებაო.

ესპანეთის ყველაზე ტიტულიანი კლუბის მადრიდის „რეალის“ პრესსამსახურმა განაცხადა, რომ გუნდის არგენტინელი ლეგიონერი ფერნანდო რედონდო დაახლოებით ერთ თვეს ვერ გავა მინდორზე. რედონდო საგარაუდოდ ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, კიევის „დინამოსთან“ პირველ მატჩსაც გამოტოვებს. „რეალის“ ექიმების თქმით, ფეხბურთელს ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. ფერნანდო რედონდოს „რეალის“ შემადგენლობაში უაგული დეკემბრიდან აღარ უთამაშია. მაშინ მან ვარჯიშზე მარჯვენა მუხლი დაიზიანა. უკვე გადაწყვეტილია, რომ რედონდო 14 თებერვალს „ბარსელონასთან“ მეტად პრინციპულ შეხვედრას გამოაკლდება.

ინგლისის „ლივერპულმა“ ორი არგენტინელი ფეხბურთელი მიიწვია გასასინჯად და თუ ისინი მოეწონა, კონტრაქტსაც გაუფორმებს. ოთხშაბათს ლივერპულში ჩავიდნენ შემტევი ნახევარმცველი გასტონ ფერნანდო პეზეტი და მეკარე კარლოს მაქსიმილიანო ესტევესი. ორივე ბუენოს აირესის კლუბ „რასინგკლაბში“ თამაშობს. 21 წლის პეზეტოს შეძენა „ლივერპულის“ ხელმძღვანელობას კლუბის აგენტმა ურჩია, არტევესით კი „წითლების“ თავკაცი, ფრანგი ჟერარ ულიე დაინტერესდა. არგენტინელები ნისლიან ალბიონზე ათ დღეს გაატარებენ.

ბელგიის ნაკრების სახელგანთქმული მეკარე ჟან მარი პფაფი, ქვეყნის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ოსტენდს“ რომ წვრთნიდა, სამსახურიდან დაითხოვეს. პფაფი, რომელსაც მანამდე საწვრთნელი პრაქტიკა არ ჰქონია, „ოსტენდს“ სამი თვის წინ ჩაუდგა სათავეში. მას შემდეგ კლუბმა თერთმეტი შეხვედრიდან მხოლოდ ერთხელ მოიგო, სამჯერ კი ფრედ ითამაშა. „ცხოვრება გრძელდება. სხვა სამუშაოს ვნახავ“ — გულს არ იტეხდა პფაფი. მიმდინარე სეზონში იგი მეექვსე მწვრთნელია, რომელიც ბელგიის კლუბებმა გაათავისუფლეს. ჟან მარი პფაფს თავის დროზე მიუნხენის „ბაიერნში“ უთამაშია, ქვეყნის ღირსება 1982 და 1986 წლების მსოფლიოს ჩემპიონატზე დაუცავს, ნაკრებში კი მთლიანობაში 64 მატჩი ჩაუტარებია. მას თანაშემწე რონი ბრაქსი შეცვლის.

ბერძნულმა აეკმა, სადაც თავის დროზე თემურ ქეცბაია თამაშობდა, ინგლისის ჩემპიონ „არსენალისგან“ ორი ფეხბურთელი ითხოვა. კრისტოფერ ვრე და ალბერტო მენდესი ათენურ კლუბში სეზონის ბოლომდე დარჩებიან, მერე კი ისევ ლონდონს მიაშურებენ. მას შემდეგ, რაც „არსენალმა“ „ინტერისგან“ 5 მილიონ დოლარად ნიგერიელი ნვაკკო კანუ შეიძინა, ხოლო „ბორდოდან“ 2,5 მილიონ დოლარად კაბა დიავარა გადაიბირა, კლუბის ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა განაცხადა, გუნდში მხოლოდ ის ფეხბურთელები უნდა დავიტოვო, რომლებიც მჭირდებაო. მანვე თქვა, ვრე და მენდესი შესაძლოა სულაც გავყიდოო.

ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის“ მცველმა დენის ირვინმა გუნდთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს ოთხშაბათს, პრემიერლიგაში „დერბისთან“ მატჩამდე მოხდა. „კონტრაქტის გაგრძელებაზე ხმა არ ამომიღია. კლუბის წინადადებას ველოდი. ძალიან გამიხარდა, რომ მათ დარჩენა შემომთავაზეს“ — განუცხადა ირვინმა ჟურნალისტებს.

ესპანეთის ნაკრების ფეხბურთელის კიკო ნარვაესის გამოჯანმრთელებას არა და არ დაადგა საშველი. მადრიდის „ატლეტიკოს“ თავდამსხმელი 28 ნოემბერს, „ბარსელონასთან“ დაშავდა და მას შემდეგ ავადმყოფობს. ცოტა ხნის წინ მან თითქოსდა მოშუშებული მუხლი კვლავ დაიზიანა და ახლა გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. „ატლეტიკოს“ ექიმების თქმით, კიკო მუხლის ოპერაციას ერთ კვირაში გაიკეთებს, მას შემდეგ, რაც საქორწინო მოგზაურობიდან დაბრუნდება. 26 წლის ფეხბურთელმა ლამაზმან პატრისია რუისზე დაიწერა ჯვარი. ფორვარდი, ალბათ, ნაკრებშიც ვერ ითამაშებს და ევრო 2000 შესარჩევი ტურნირის ორი მატჩის გამოტოვებაც მოუწევს.

ინგლისის 1995 წლის ჩემპიონის „ბლეკბერნ როვერსის“ ნახევარმცველი ტიმ შერვუდი, ალბათ, ლონდონის „ტოტენჰემში“ გადავა. იგი უკვე რამდენიმე დღეა, ტოტენჰემელებთან შესაძლო ტრანსფერის საკითხებს აგვარებს. ინგლისური პრესის თქმით, ბლეკბერნელები ნახევარმცველის სანაცვლოდ 6,5 მილიონ დოლარს მიიღებენ. „ტოტენჰემის“ დირექტორმა დევიდ პლატმა განაცხადა, მე და ჯორჯ გრემი (კლუბის მწვრთნელი) ტიმ შერვუდს შევხვდებით და საბოლოოდაც გადავწყვეტთ ყველაფერსო. თუ ტრანსფერი შედგა, შერვუდი გრემის მიერ შეძენილი მესამე ფეხბურთელი იქნება. შეგახსენებთ, რომ გრემმა მანამდე არგენტინელი მაურისიოვ ტარიკო და გერმანელი შეფან ფროინდი გადაიბირა.

საფრანგეთის „ბორდომ“ ესპანელი თავდამსხმელი ივან პერესი შეიძინა. ესპანეთის ნაკრების ფორვარდის ალფონსო პერესის ძმამ ფრანგული კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. „ბორდოს“ მწვრთნელმა ელი ბოპმა განაცხადა, რომ ივან პერესი ლონდონის „არსენალში“ გადასულ კაბა დიავარას სანაცვლოდ გადაიბირა.

იტალიის „სამპდორიას“ მწვრთნელი დაუნიშნეს — ლუჩანო სპალეტი, რომელიც ექვსი კვირის წინ გაათავისუფლეს, გენუის კლუბს დაუბრუნდა. სპალეტიმ პლატი შეცვალა.

საერთაშორისო ტურნირი

EURO
ჩვენი ჯგუფი

საბერძნეთი 2:1 ფინეთი

0:1 კაიასილტა (63), 1:1 ნიკოლაიდისი (67პ), 2:1 გეორგატოსი (88)

საბერძნეთი: ატმაციდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, გუმასი, ფუსასი (პ. კონსტანტინიდისი 70), მარკოსი (იანაკოპულოსი 62), პურსანიდისი, ციკოსი, გეორგატოსი, ლიმბეროპულოსი (ს. კონსტანტინიდისი 85), ნიკოლაიდისი

ოთხშაბათს ლარნაკაში საერთაშორისო ტურნირი დაიწყო, რომელშიც საქართველოს ნაკრების მეტოქე საბერძნეთიც მონაწილეობს.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში, სადაც საბერძნეთი, საქართველო და კიდევ ოთხი გუნდი ასპარეზობს წლევანდელი თამაშები გადაწყვეტს ყველაფერს. პირველი შეხვედრები მარტშია, მანამდე კი გუნდები გამალებით ემზადებიან ოფიციალური მატჩებისთვის.

ბერძენთა პირველი მეტოქე ფინეთი გახლდათ. მინდვრის უხარისხობისა და უამინდობის გამო მატჩი მაინცდამაინც კარგი სანახავი არ იყო, თუმცა ჩვენთვის ყველა შემთხვევაში საინტერესო რომაა, ამას თქმა არ უნდა.

უგოლო პირველი ტაიმის შემდეგ ფინელები დაწინაურდნენ — პეტერ კაიასილტამ ბერძენი უკანახაზელები თამაშგარეს ხელოვნურად შექმნის მცდელობისას დაიჭირა. სხვაობა მალევე გაბათილდა — გოლის ავტორმა კაიასილტამ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა და პენალტიც სამართლიანად დაინიშნა. დემის ნიკოლაიდისს გაყიმება არ დასჭირვებია.

საბოლოოდ მაინც ბერძნებმა იმარჯვეს. გრიგორის გიორგატოსმა შორი მანძილიდან უძლიერესად დაარტყა და ბურთი იანი ვიანდერის კარის ბადეში ჩაეშვა. ლამაზი გოლი იყო.

შეხვედრის შემდეგ ბერძენთა რუმინელმა მწვრთნელმა ანგელ იორდანესკუმ განაცხადა, ტურნირს მაინცდამაინც დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ჩემთვის მთავარი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირიაო. მანვე თქვა, მიჯობდა, გუნდი უფრო კარგ პირობებში მომზადებულიყოო. შეგახსენებთ, რომ ანგელ იორდანესკუს გუნდებს საქართველოს ნაკრები ორჯერ ჰყავთ განადგურებული. 1996 წელს იორდანესკუს რუმინეთმა ქართველებს 5:0 მოუგო, შარშან შემოდგომაზე კი უკვე იორდანესკუს საბერძნეთმა 3:0 დაჯაბნა ჩვენი ქვეყნის პირველი გუნდი.

ამ ტურნირის მეორე შეხვედრაში, რომელიც ლიმასოლში შედგა, ბელგიამ მასპინძელი კვიპროსი დაამარცხა 1:0. მატჩის დასრულებამდე 14 წუთით ადრე გაბელგიელებულმა მბო მპენზამ გადამწყვეტი გოლი გაიტანა.

ამსანაგური მატჩები

მალტა 0:1 პოლონეთი

0:1 სიადაჯკა (90)

პოლონელები, როგორც მოსალოდნელი იყო, მთელი შეხვედრის განმავლობაში ჯობდნენ მეტოქეს. მათ ანგარიშის გახსნა მე-15 წუთზე შეეძლოთ, როდესაც რადოსლავ მიხალსკიმ მასპინძელთა დაცვა გაარღვია, მაგრამ მეკარემ ერნსტ ბარიმ მოიგერია მისი დარტყმული. ბარიმ 29-ე წუთზეც იყოჩაღა — ტომაშ კლოსს ჯარიმა აუღო. მალტელებს მეორე ტაიმის დასაწყისში ჰქონდათ კარგი მომენტი, დებიუტანტ ადრიან მიფსუდს შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ სტუმართა მეკარემ ადამ მატიშკამ არ გაატანინა. შეხვედრის ბედი რაფალ სიადაკამ მსჯის მიერ დამატებულ წუთებში გადაწყვიტა.

ვენესუელა 0:2 არგენტინა

0:1 სამუელი (46), 0:2 გალიარდო (68)

არგენტინელებმა ერთობ ექსპერიმენტული შემადგენლობა ათამაშეს, მაგრამ წარმატებას მაინც მიაღწიეს. ეს გახლდათ გუნდის ახალი მწვრთნელის მარსელო ბიელსას დებიუტი. მოგეხსენებათ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონებს საფრანგეთი 98-ის მეოთხედფინალში ჰოლანდიასთან 1:2 დამარცხების შემდეგ აღარ უთამაშიათ.

ვენესუელის ნაკრებსაც დებიუტანტი მწვრთნელი, არგენტინელი ხოსე ომარ კასტორისა თავკაცობდა. ორი ქვეყნის ისტორიაში ეს გახლდათ მე-10 სანაკრებო შეხვედრა, რომელთაგან ათივე არგენტინის სასარგებლოდ დამთავრდა.

ესპანეთი

თასის მეოთხე წრე. საპასუხო მატჩები

დეპორტივო 1:1 (დ.დ) სელტა

0:1 კასერესი (81), 1:1 ტურუ ფლორესი (119)
გაძევება: კლოდ მაკელელე (სელტა, 76), ფერნანდო კასერესი (სელტა, 115)

მალიორკა 1:0 ბეტისი

1:0 დანი გარსია (75)

რასინგი 1:0 ბილბაო

1:0 არსენო (28)

ვალენსია 1:0 ლევანტე (III)

1:0 ანგლომა (86)
გაძევება: ტელეჩეა (ლევანტე, 76)

ვალიადოლიდი 2:2 ესპანიოლი

0:1 ბენიტესი (23), 0:2 არტეგა (33), 1:2 კამინერო (49), 2:2 ჟულიო სეზარი (75)
გაძევება: კამინერო (ვალიადოლიდი, 54)

ვილიარეალი 0:2 რეალი

0:1, 0:2 მორიენტესი (15, 36)
გაძევება: პალოპი (ვილიარეალი, 81)



ფერნანდო მორიენტესი

ორი — არც მეტი არც ნაკლები

ფერნანდო მორიენტესი. განსაკუთრებული არაფერი, საშუალო დონის ახალგაზრდა ფორვარდია, თამაშობს მადრიდის „რეალსა“ და ესპანეთის ნაკრებში. ჩვენი ყურადღება და არა მარტო ჩვენი კი აი, რატომ დაიმსახურა.

მიმდინარე სეზონში ერთი საინტერესო ფაქტი ხდება — მორიენტესს თუ გააქვს, მხოლოდ ორი, არც მეტი, არც ნაკლები. ასეთი რამ ფეხბურთში საკმაოდ იშვიათი ამბავია. და კიდევ, მადრიდის „რეალი“ სეზონში ოთხჯერ შეხვდა პრემერა დივიზიონში შარშან გადასულ ნახევრად სეხნია „ვილიარეალს“ — ორჯერ ჩემპიონატში და ორჯერაც თასზე. ოთხივე შეხვედრა „სამეფო“ კლუბის გამარჯვებით დასრულდა. პირველად მადრიდელებმა 4:1 მოიგეს, მეორედ თასზე 2:0, ამავე ანგარიშით გაიმარჯვეს კვირას და ოთხშაბათსაც. საინტერესო კი ის არის, რომ ბოლო სამ შეხვედრაში „ვილიარეალის“ კარში 6 ბურთიდან ყველა მორიენტესმა შეაგდო. განსაკუთრებით ლამაზი კვირას გატანილი გოლი გამოდგა, უცნაური, მაგრამ შესანიშნავი მაკრატელათი.

ერთი სიტყვით, „ვილიარეალის“ ფეხბურთელებს, მწვრთნელსა და ქომაგებს თუ ვინმე ეზიზღებათ, ფერნანდო მორიენტესია.

ბოლო მატჩში მან პირველივე ტაიმში გააკეთა თავის საქმე. ჯერ ჰოლანდიელმა კლარენს ზეედორფმა გაუწია ასისტენტობა, შემდეგ იუგოსლავიელმა პრედრაგ მიატოვიჩმა. შემდგომ მორიენტესს სულ ცოტა ამდენივეს გატანა შეეძლო, მაგრამ არ გაუმართლა, ეტყობა, დაბედებული აქვს მხოლოდ ორის შეგდება.

მეორე ნახევარში მასპინძელთა მცველებმა საკუთარ საჯარიმოში „რეალის“ ბრაზილიელი ლეგიონერი საგიო ბერტოლინი წააქციეს. პენალტი ფერნანდო იერომ შეასრულა, მაგრამ მიხი დარტყმული ბურთი კარს ასცდა და ანგარიშიც უცვლელი დარჩა.

მატჩის დასრულებამდე 9 წუთით ადრე ისედაც შავ დღეში მყოფ „ვილიარეალს“ მსაჯმა მეკარე ანდრეს პალოპი გაუძევა — მან საჯარიმოს გარეთ ითამაშა ხელით. იმ დროისათვის მასპინძლებს სამივე ფეხბურთელი შეცვლილი ჰყავდათ და მათმა დამრიგებელმა ხოსე ანტონიო ირულეგიმაც კარში ცენტრფორვარდი მანუელ ალფარო გაამწესა, რომელმაც ახალ ფუნქციას მშვენივრად გაართვა თავი.

ლა კორუნიაში გალისიური დერბი გაიმართა — ერთმანეთს პრემერა დივიზიონის გათამაშების ცხრილის ზედა ნაწილში მყოფი „დეპორტივო“ და ვიგოს „სელტა“ ხვდებოდნენ. მატჩი ძალიან დაძაბ[illegible] ამოდგა. პირველ შეხვედრაში ს[illegible]უმრ[illegible]ოდ „დეპორტივომ“ იმარჯვა 1:0.

ვიგოელებმაც ამავე ანგარიშით მოიგეს ოთხშაბათს და საქმე დამატებით დრომდე მივიდა. გოლი 81-ე წუთზე სტუმართა მცველმა ფერნანდო კასერესმა შეაგდო, ხუთი წუთით ადრე კი ვიგოელები ათნი დარჩნენ — არბიტრმა კლოდ მაკელელე დაითხოვა მინდვრიდან.

მატჩის 115-ე წუთზე მაკელელეს გზას გოლის ავტორი კასერესიც გაუყენეს, მან მეორ[illegible] მიიღო ყვითელი ბარათი. 9 ფეხბ[illegible]ით დარჩენილ „სელტას“ ერთი [illegible]ული ჰქონდა, საქმე პენალტების სერიამდე მიეყვანა, მაგრამ მასპინძელთა არგენტინელმა ლეგიონერმა ტურუ ფლორესმა არ აცალა და შეხვედრის დასრულების წამები რომ უკლდა, ლაკორუნიელ გულშემატკივრებს დიდი სიხარული აჩუქა — 1:1. შემ[illegible] ეტაპზე „დეპორტივომ“ გააღწი[illegible]

მეოთხედფინალის კენჭისყრა

ბარსელონა ან ბენიდორმი — ვალენსია; რასინგი — რეალი; მალიორკა — დეპორტივო; ატლეტიკო — ესპანიოლი

მატჩები 17 და 24 თებერვალს გაიმართება

ინგლისი

მანჩესტერი 1:0 დერბი

1:0 იორკი (65)

მანჩესტერი: შმაიხელი, გ. ნევილი, იონსენი, სტამი, ირვინი, ბათი, სქოულზი, კინი, გიგზი (ბლომკვისტი 10), იორკი, სოლსკიაერი

დერბი: ჰოულტი, პრაიორი, კარბონარი, შტიმაცი, ლაურსენი, ბოჰინენი, პაუელი (ჰანტი 80), კერსლი, დორიგო, ჰარპერი (ბარტონი 70), ვანჩოპე

მსაჯი: ლოჯი

ტრინიდადის და ტობაგოს შვილმა, შავკანიანმა ფორვარდმა დუაიტ იორკმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ტყუილად არ არის მსოფლიოს უმდიდრესი კლუბის უძვირფასესი შენაძენი. მან ჯერ კვირას გაუტანა ლონდონის „ჩარლტონს“ ერთადერთი, გამარჯვების გოლი და იგივე ოთხშაბათსაც გაიმეორა, ამჯერად შედარებით ძლიერ „დერბისთან“. ეს მიმდინარე სეზონში მისი მე-19, პრემიერლიგაში კი მე-13 გოლი გახლავთ.

მატჩამდე ერთი სასიამოვნო ამბავი გაირკვა — დენის ირვინმა „მანჩესტერთან“ კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი. სწორედ მან და ჰოლანდიელმა დამცველმა იაპ სტამმა განაპირობეს საკუთარი კარის მშრალად შენახვა. კარისა, რომელსაც გაფთრებით უტევდნენ სტუმრები კოსტა-რიკელი თავდამსხმელის პაოლო ვანჩოპეს მეთაურობით.

თავის მხრივ, „მენიუც“ უტევდა პერიოდულად, მაგრამ პრემიერლიგის ლიდერს მაინც ეტყობოდა იორკის მეწყვილეს ენდი კოულის არყოფნა. ინგლისელის ადგილი ჭაბუკმა ნორვეგიელმა ოლე გუნარ სოლსკიაერმა დაიკავა და ღირებული ვერაფერი შექმნა.

REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — დერბი 1:0. დუაიტ იორკს ჰორაციო კარბონარი უტევს

შეხვედრის დებიუტში, ირვინის შენარჩუნებით გახარებულ მასპინძლებს ცუდი ამბავი შეემთხვათ — მათი უელსელი გარემარბი რაიან გიგზი დაშავდა და სავარაუდოდ მილანის „ინტერთან“ დიდ, ორრაუნდიან ბრძოლაში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

ერთი სიტყვით, თამაშამდე და მის მსვლელობისას მანჩესტერელებს იმდენი რამ შეემთხვათ, რომ დაიბნენ, ინიციატივა მე-8 ადგილზე მყოფ მეტოქეს გადაულოცეს და რომ არა იორკი, ალბათ წააგებდნენ კიდეც.

გოლი ასე გავიდა — ნიკი ბათმა საჯარიმოში ტრინიდადელი თანაგუნდელი მოძებნა, ამ უკანასკნელმაც მშვენივრად შეაფასა სიტუაცია და ისე ძლიერად და ზუსტად დაარტყა, ჰოულტმა ბურთზე რეაგირება ძლივს მოასწრო.

მატჩის შემდეგ მასპინძელთა თავკაცმა ალექს ფერგიუსონმა ამაყი სახით მიუსამძიმრა თავის მეგობარს, „დერბის“ მწვრთნელ ჯიმ სმიტს.

მანჩესტერი	24	13	8	3	51:26	47
ჩელსი	23	11	10	2	34:19	43
ასტონ ვილა	23	12	7	4	35:22	43
არსენალი	23	11	9	3	24:11	42
ლიდსი	23	9	9	5	36:23	36
ლივერპული	23	10	5	8	44:28	35
დერბი	24	8	10	6	23:21	34
ვესტ ჰემი	23	9	6	8	25:31	33
მიდლსბრო	23	7	11	5	32:28	32
ტოტენჰემი	23	7	9	7	29:31	30
ლესტერი	23	7	9	7	25:27	30
ნიუკასლი	23	7	7	9	28:32	28
შეფილდი	23	7	5	11	25:23	26
ევერტონი	23	5	9	9	13:25	24
ქოვენთრი	23	6	5	12	23:32	23
ბლეკბერნი	23	5	7	11	22:30	22
საუთჰემპტონი	23	5	5	13	23:46	20
ჩარლტონი	23	3	8	12	26:37	17
ნოტინგემი	23	3	7	13	19:41	16

ბომბარდირები

ოუენი (ლივერპული)	13
იორკი (მანჩესტერი)	13
დაბლინი (ასტონ ვილა)	12

ასოციაციის თასის მეოთხე წრის გადათამაშება

REUTERS ლონდონიდან

ჩელსი — ოქსფორდი 4:2. ყმაწვილ ფორსელს მორიგი გოლი გააქვს

ჩელსი 4:2 ოქსფორდი

0:1 გილქრაისთი (5), 1:1 უაიზი (13), 2:1 ძოლა (40), 3:1, 4:1 ფორსელი (46, 53), 4:2 უინდასი (77პ)

ჰადერსფილდი 2:1 რეფსჰემი

1:0 სტიუარტი (20), 1:1 რასელი (27), 2:1 ტორნლი (28)

თავიდან „ჩელსის“ გაუჭირდა, არ ეგონა პრემიერლიგაში მეორეს ქვედა დივიზიონის ბოლოში მყოფი „ოქსფორდი“ მე-5 წუთზე თუ გაუტანდა. თუმცა „არისტოკრატებს“ დიდხანს არ უნერვიულიათ და ძალიან მალე მიუჩინეს ყველას და ყველაფერს თავისი ადგილი.

ანგარიში ლონდონელთა ტანმორჩილმა კაპიტანმა დენის უაიზმა გაათანაბრა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანკ ლებეფმა ძოლას კარგი პასი მიაწოდა და ამ უკანასკნელმაც ორი მცველის გაბითურების შემდეგ კაპიტანი მოძებნა.

მერე თავად ძოლამ გაიტანა, რომელიც „ჩელსიში“ მე-100 მატჩს ატარებდა. მეორე ტაიმი კი მთლიანად 17 წლის ფინელის, შარშან დეკემბერში ჰელსინკის ჰიკ-იდან გადაბირებული მიკაელ ფორსელისა იყო. თინეიჯერმა ლონდონელების მესამე და მეოთხე გოლები გაიტანა, ჰეთ-თრიქის შესრულებაც შეეძლო, მაგრამ „ოქსფორდის“ მეკარე ჯექსონმა არ დაანება.

75-ე წუთზე მიმდინარე სეზონში უაიზი მეოთხედ გახდა წითელი ბარათის თვითმხილველი. ამჯერად აგრესიულ ვეტერანს არც არავინ გაულახავს და არც უუხეშია, უბრალოდ საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა, რაც ფეხბურთის კანონებით პენალტით ისჯება. თერთმეტმეტრიანი უინდასმა აქცია გოლად. ეგ იყო და ეგ, „ჩელსი“ შემდეგ ეტაპზე გავიდა.

მეორე შეხვედრაში „ჰადერსფილდმა“ „ვრექსჰემს“ მოუგო 2:1. სამივე გოლი რვა წუთში გავიდა. დანარჩენ დროში კი საინტერესო არაფერი მომხდარა.

სარბიელი

სპორტული ლატარია "CROCO"

ინგლისის ჩემპიონატი. პრემიერლიგა. XXIV ტური

6 თებერვალი			
ასტონ ვილა — ბლეკბერნი	1,4	3,5	7,0
0:1	2,1	3,0	2,3
ჩელსი — საუთჰემპტონი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ლიდსი — ნიუკასლი	1,7	2,9	5,0
ლესტერი — შეფილდ უენსდეი	1,6	3,0	5,6
ლივერპული — მიდლსბრო	1,5	3,4	5,6
ნოტინგემი — მანჩესტერი	4,7	3,0	1,7
ტოტენჰემი — ქოვენთრი	1,5	3,2	6,5
ვესტ ჰემი — არსენალი	2,9	2,8	2,3
7 თებერვალი			
დერბი — ევერტონი	1,6	2,9	6,0
8 თებერვალი			
ჩარლტონი — უიმბლდონი	2,5	2,9	2,5

ინგლისის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXX ტური

5 თებერვალი			
ბრისტოლი — ქუინზ პარკი	2,4	2,9	2,6
6 თებერვალი			
ბარნსლი — ქრიუ	1,2	5,3	8,0
0:1	1,7	3,3	3,1
ბრედფორდი — უოტფორდი	1,6	3,0	5,6
ბერი — იფსვიჩი	3,1	2,8	2,2
კრისტალ პალასი — ბირმინგემი	2,5	2,9	2,5
გრიმსბი — ბოლტონი	2,5	2,8	2,6
ნორვიჩი — სტოკპორტი	1,5	3,4	5,6
პორტ ვეილი — ჰადერსფილდი	3,0	2,8	1,9
პორტსმუთი — ტრანმერი	2,3	2,8	2,9
შეფილდ იუნაიტედი — ვესტ ბრომვიჩი	2,4	2,8	2,7
სანდერლენდი — სვინდონი	1,25	3,8	7,0
0:1	1,9	3,4	2,4
ვულვერჰემპტონი — ოქსფორდი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8

საფრანგეთის ჩემპიონატი. XXIII ტური

6 თებერვალი			
ნანტი — ლანსი	1,8	2,7	4,7
ლიონ — ნანსი	1,35	3,8	7,0
0:1	2,0	3,0	2,4
მეტ[illegible] ლორიანი	1,6	2,9	6,0
მარსელი — ბასტია	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
ლე ავრი — მონაკო	2,5	2,7	2,7
პსჟ — სოშო	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
რენი — ბორდო	2,5	2,8	2,6
7 თებერვალი			
ოსერი — ტულუზი	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
მონპელიე — სტრასბური	1,6	2,9	6,0

იტალიის ჩემპიონატი. სერია A. XX ტური

7 თებერვალი			
ბოლონია — ბარი	1,7	2,9	5,0
სამპდორია — კალიარი	1,8	3,0	4,0
ინტერი — ემპოლი	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
ფიორენტინა — მილანი	1,7	2,9	5,0
იუვენტუსი — პარმა	1,8	2,8	4,4
ლაციო — პერუჯა	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
ვიჩენცა — პიაჩენცა	1,8	2,8	4,4
ვენეცია — რომა	2,5	2,9	2,5
სალერნიტანა — უდინეზე	2,3	2,8	2,9

იტალიის ჩემპიონატი. სერია B. XXI ტური

6 თებერვალი			
ვერონა — ლუკეზე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
7 თებერვალი			
ტრევიზო — ჩეზენა	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ატალანტა — კიევო	1,4	3,5	7,0
0:1	2,1	3,0	2,3
ტერნანა — კოზენცა	2,0	2,8	3,5
ბრეშა — ფ. ანდრია	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
ლეჩე — ჯენოა	1,4	3,5	7,0
0:1	2,1	3,0	2,3
ნაპოლი — პესკარა	1,9	2,7	4,0
კრემონეზე — რეჯანა	2,0	2,7	3,6
მონცა — რეჯინა	2,0	2,7	3,6
რავენა — ტორინო	2,5	2,7	2,7

ესპანეთის ჩემპიონატი. I დივიზიონი. XXI ტური

6 თებერვალი			
ვალენსია — დეპორტივო	1,7	3,0	4,2
7 თებერვალი			
ალავესი — ოვიედო	2,3	2,8	2,9
სოსიედადი — ტენერიფე	1,4	3,5	7,0
0:1	2,1	3,0	2,3
ესპანიოლი — მალიორკა	2,9	2,8	2,3
სალამანკა — ატლეტიკო	3,3	2,8	2,1
სელტა — ვილიარეალი	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
რეალი — ვალიადოლიდი	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
ესტრემადურა — ბარსელონა	5,0	2,9	1,7
რასინგი — ბილბაო	2,4	2,8	2,7
სარაგოსა — ბეტისი	1,9	2,8	3,8

ესპანეთის ჩემპიონატი. II დივიზიონი. XXIII ტური

6 თებერვალი			
კომპოსტელა — მერიდა	1,9	2,7	4,0
ლას პალმასი — ტოლედო	1,6	2,9	6,0
7 თებერვალი			
მალაგა — ორენსე	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
სევილია — რეკრეატივო	1,7	2,9	5,0
ნუმანსია — ლეგანესი	1,3	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
ლეიდა — ბადაზოსი	1,6	3,0	5,6
ლოგრონიესი — ოსასუნა (15⁰⁰)	2,5	2,8	2,6
რაიო ვალეკანო — ერკულესი (15⁰⁰)	1,25	4,4	8,0
0:1	1,8	3,3	2,8
ატლეტიკო B — ბარსელონა B (15⁰⁰)	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
მალიორკა B — ალბასეტე	1,7	3,0	4,7
სპორტინგი — ეიბარი	1,5	3,3	6,0

პორტუგალიის ჩემპიონატი. XXI ტური

5 თებერვალი			
ბენფიკა — ფარენსე	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
პორტუ — მარიტიმუ	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5
6 თებერვალი			
ბრაგა — გიმარაეში	2,0	2,8	3,5
კამპომაიორენსე — სპორტინგი	4,7	3,0	1,7
7 თებერვალი			
შავეში — რიუ ავე	1,9	2,8	3,8
აკადემიკა — ამადორა	3,6	2,9	1,9
სეტუბალი — ბეირა მარი	1,6	3,0	5,6
სალგეირუში — ალვერკა	1,5	3,3	6,0
ლეირია — ბოავიშტა	4,0	3,0	1,8

ჰოლანდიის ჩემპიონატი. XX ტური

5 თებერვალი			
ნაიმეგენი — გრააფსხაპი	1,4	3,5	7,0
0:1	2,0	3,2	2,3
6 თებერვალი			
ტვენტე — ალკმაარი	1,7	3,0	4,7
სიტარდი — ბრედა	1,7	3,0	4,7
ტილბურგი — ჰერენვენი	2,5	2,8	2,6
7 თებერვალი			
კამბური — ფეიენოორდი	5,6	3,0	1,6
ვალვაიკი — მაასტრიხტი	2,5	2,9	2,5

ბელგიის ჩემპონატი. გადადებული მატჩი

6 თებერვალი			
ბევერენი — სენტ ტრუიდენი	2,4	2,8	2,7

თურქეთის ჩემპიონატი. XIX ტური

5 თებერვალი			
ბეშიქთაში — ანთალია	1,3	4,0	7,5
0:1	1,9	3,2	2,6
6 თებერვალი			
გენჩლერბირლიგი — ფენერბახჩე	4,7	3,0	1,7
7 თებერვალი			
საქარია — გაზიანთეფი (15³⁰)	2,3	2,8	2,9
ადანა — ერზრუმი (15³⁰)	1,8	2,8	4,4
სამსუნი — ისთანბული (15³⁰)	2,2	2,9	2,8
ქარაბუქი — ქოჯაელი (15³⁰)	3,4	2,9	2,0
დარდანელი — ანკარა (15³⁰)	2,5	2,9	2,5
ტრაბზონი — ალთაი (15³⁰)	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
გალათასარაი — ბურსა	1,15	5,6	10,0
0:1	1,5	3,5	3,5

შოტლანდიის ჩემპონატი. XXIV ტური

6 თებერვალი			
აბერდინი — კილმარნოკი	2,4	2,8	2,7
სელტიკი — ჰარტსი	1,2	5,0	9,0
0:1	1,7	3,2	3,2
დანდი — მოზერველი	2,2	2,7	3,2
სტ. ჯონსტონი — დანდი იუნაიტედი	1,6	3,0	5,6
7 თებერვალი			
დანფერმლაინი — რეინჯერსი	6,0	3,3	1,5

ამხანაგური მატჩი

5 თებერვალი			
კვიპროსი — ფინეთი	2,0	2,8	3,5
საბერძნეთი — ბელგია	1,8	3,0	4,0
6 თებერვალი			
აშშ — გერმანია	5,3	3,1	1,6

ჰოკეი. NHL

5 თებერვალი			
პიტსბურგი — ფლორიდა	1,5	4,4	3,0
ვაშინგტონი — კაროლინა	2,0	4,4	2,0
ტამპა ბეი — ანაჰაიმი	2,2	4,4	1,8
დეტროიტი — კოლორადო	1,8	4,4	2,2
ედმონტონი — ნეშვილი	1,5	4,4	3,0
6 თებერვალი			
მონრეალი — ბუფალო	2,1	4,4	1,9
ნიუ ჯერსი — ტორონტო	1,7	4,4	2,4
ფილადელფია — ბოსტონი	1,3	4,4	4,0
კაროლინა — ფლორიდა	1,7	4,4	2,4
სენტ ლუისი — ანაჰაიმი	1,5	4,4	3,0
კალგარი — ოტავა	2,4	4,4	1,7
ფინიქსი — ჩიკაგო	1,2	4,4	5,0
ლოს ანჯელესი — სან ხოსე	1,9	4,4	2,1
7 თებერვალი			
ბოსტონი — რეინჯერსი	1,7	4,4	2,4
აილენდერსი — ვანკუვერი	1,8	4,4	2,2
პიტსბურგი — დეტროიტი	1,6	4,4	2,7
ვაშინგტონი — ბუფალო	2,4	4,4	1,7
დალასი — კოლორადო	1,5	4,4	3,0
8 თებერვალი			
ფლორიდა — სენტ ლუისი	1,9	4,4	2,1
კალგარი — ედმონტონი	2,0	4,4	2,0
ფინიქსი — სან ხოსე	1,25	4,4	4,4

ჩემპიონთა თასი

ინტერი	2,5
იუვენტუსი	3,0
მანჩესტერი	3,0
ბაიერნი	5,0
რეალი	6,0
კაიზერსლაუტერნი	10,0
დინამო	10,0
ოლიმპიაკოსი	50,0

თასეგის თასი

ლაციო	2,0
ჩელსი	2,0
მალიორკა	3,0
ლოკომოტივი	8,0
მაკაბი	15,0
ვარტექსი	50,0
ვალერენგა	50,0
პანიონისი	50,0

უეფას თასი

რომა	3,0
პარმა	3,0
მარსელი	4,0
ბორდო	5,0
სელტა	5,0
ატლეტიკო	6,0
ბოლონია	8,0
ლიონი	10,0

ინგლისი

მანჩესტერი	1,8
ჩელსი	1,8
ასტონ ვილა	4,0
არსენალი	5,0
ლივერპული	5,0
ლიდსი	8,0

გერმანია

ბაიერნი	1,01
ლევერკუზენი	8,0

იტალია

ინტერი	1,9
ფიორენტინა	2,0
პარმა	4,0
მილანი	5,0
ლაციო	5,0
იუვენტუსი	8,0
რომა	8,0

ესპანეთი

ბარსელონა	2,0
რეალი	2,0
მალიორკა	2,5
სელტა	4,0
ვალენსია	5,0
ატლეტიკო	5,0

საფრანგეთი

მარსელი	1,3
ბორდო	2,5

პორტუგალია

პორტუ	1,3
ბენფიკა	2,5
სპორტინგი	6,0
ბოავიშტა	6,0

ჰოლანდია

ფეიენოორდი	1,5
აიაქსი	2,2
ვიტესი	5,0
ეინდჰოვენი	6,0

ბელგია

ბრიუგე	1,3
გენკი	2,0
სტანდარდი	6,0
ანდერლეხტი	8,0

პოლონეთი

ვისლა	1,1
ლეგია	4,0
ლეხი	8,0
გურნიკი	8,0
ვიძევი	8,0

თურქეთი

გალათასარაი	1,4
ფენერბაჰჩე	2,5
ბეშიქთაში	2,5
ტრაბზონი	5,0

შოტლანდია

რეინჯერსი	1,1
სელტიკი	4,0
კილმარნოკი	6,0

ავსტრია

შტურმი	1,7
რაპიდი	2,0
გრაცერი	4,0
ლინცერი	8,0

შვეიცარია

სერვეტი	1,8
გრასჰოპერი	1,8
ციურიხი	2,5
ლოზანა	4,0

ნებისმიერი კონკრეტული გუნდი, რომელიც სიაში მოხსენიებული არ არის — 10,0

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათისა და ხუთშაბათის გარდა 13-დან 16 საათამდე

თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან; №2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე; №67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი.

ქუთაისში — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

ბათუმში — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

რუსთავში — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

53-ე სეზონის წინ

შუა დასავლეთის დივიზიონი

იუტა ჯაზი

წინა სეზონი: 62-20
ფლეი ოფი: 2:4 ჩიკაგოსთან ფლეი ოფის ფინალში
მწვრთნელი: ჯერი სლოუნი (კარიერაში 639-379)

მოვიდნენ: თარლ ბეილი (თავისუფალი აგენტი)

წავიდნენ: ანტუან კარი (ჰიუსტონში), კრის მორისი (უგუნდოდ)

სიძლიერე: კარლ მელოუნი და ჯონ სტოქტონი. ვარსკვლავები ბევრ გუნდს ჰყავს, მაგრამ ამგვარ დუეტზე ლიგის ყველა გუნდი ოცნებობს. ასოციაციის ყველაზე შეხმატკბილებული წყვილი აგერ ცამეტი სეზონი თამაშობს „იუტაში" და სოლტ ლეიკ სიტის გუნდი ლიგაში ერთ-ერთ უძლიერესად იქცა. სტოქტონის პასების და თავისი ჯან-ღონის წყალობით, ასოციაციის ბოლო ათი წლის უძლიერესი თავდამსხმელი კარლ მელოუნი ჩვეულად დააწიოკებს მეტოქეებს და საშუალოდ მატჩში 25 ქულაზე მეტს გააკეთებს. სტოქტონის გვერდით უკანა ხაზში კვლავ გაირჯება ჯეფ ჰორნაჩეკი

სისუსტე: ასაკი, თუკი ამას შეიძლება სისუსტე ეწოდოს. გუნდის ლიდერებმა კარგა ხანია გადააბიჯეს 30 ნელიწადს. სტოქტონი 37 წლისა გახლავთ, მელოუნი და ჰორნაჩეკი 35-35 წლის. გუნდმა დაკარგა ორი ცენტრი — ანტუან კარი სან ანტონიოში გადაბარგდა, გრეგ ფოსტერს კი ქუსლის ძვალი გაუტეხავს

რას იზამენ: ჩემპიონობის უპირველეს ფავორიტად ითვლებიან



„იუტა ჯაზის" სუპერ-დუეტს, კარლ მელოუნსა და ჯონ სტოქტონს, ჩემპიონატის მოგების საუკეთესო შანსი აქვს

სან ანტონიო სფურზი

წინა სეზონი: 56-26
ფლეი ოფი: 1:4 იუტასთან მეორე წრეში
მწვრთნელი: გრეგ პოპოვიჩი (კარიერაში 73:73)

მოვიდნენ: სტივ კერი (ჩიკაგოდან); მარიო ელი (ჰიუსტონიდან); ანტონიო დანიელსი (ვანკუვერიდან); ჯერომ კერსი (სიეტლიდან)

წავიდნენ: ჩაკ პერსონი (ჩიკაგოში); კარლ ერერა (ვანკუვერში); ვინი დელ ნეგრო (იტალიაში); ჯარენ ჯექსონი, მალიკ როუზი (ორივე — უგუნდოდ)

სიძლიერე: უძლიერესი წინა ხაზი. ლიგის ყველაზე მოძრავი და ტექნიკური ცენტრის დევიდ რობინსონის და უნიჭიერესი თავდამსხმელის ტიმ დანკანის დუეტს ნებისმიერი წინა ხაზის გადათელვა ძალუძს. რობინსონს მხოლოდ ლეიკერსელი შაკილ ონილი თუ შეედრება; ტიმ დანკანს, რომელმაც ჯერ ერთი სეზონი ითამაშა და დუნია აალაპარაკა, თავის ამპლუაში მხოლოდ იუტელი მელოუნი სჯობს, მაგრამ რობინსონი და დანკანი ერთად ნებისმიერი გუნდისთვის უდიდეს პრობლემას ქმნის

სისუსტე: სუსტი მწვრთნელი და სუსტი უკანა ხაზი. „სან ანტონიო" საკმაოდ ძლიერი გუნდია, თუმც ამაში მწვრთნელის გრეგ პოპოვიჩის, ვინაც გუნდის გენერალური მენეჯერიცაა, ღვაწლი ნაკლებადაა. უკანა ხაზი არც ადრე იყო ძლიერი, ახლა კი ვინი დელ ნეგროც დააკლდა. მართალია, შეემატა ექსჩიკაგოელი სტივ კერი, მაგრამ მისი და 180-სანტიმეტრიანი აივერი ჯონსონის დუეტი სულაც არ არის ოცნების ზღვარი

რას იზამენ: ფლეი ოფში უპრობლემოდ მოხვდებიან. მერე კი მეტოქეებს გააჩნია

დალას მავერიქსი

წინა სეზონი: 20-62
ფლეი ოფი: ვერ მოხვდა
მწვრთნელი: დონ ნელსონი (კარიერაში 867-679)

მოვიდნენ: სტივ ნეში, ჰოთ როდ ვილიამსი (ორივე — ფინიქსიდან); გერი ტრენტი (ტორონტოდან); დირკ ნოვიცკი (დრაფტიდან)

წავიდნენ: ერიკ რაილი (ბოსტონში); კურტ ტომასი (ნიუ იორკში); ბუბა ველსი, მარტინ მიუურსეპი (ორივე — ფინიქსში)

სიძლიერე: დაიმატეს ძლიერი გამთამაშებელი სტივ ნეში. მას მსროლელადაც შეუძლია თამაში. ასევეა ფორვარდი მაიკ ფინლიც: მას თანაბრად ძალუძს ქულების დაგროვება და მოხსნა. ჰოთ როდ ვილიამსი კი ის კაცია, რომელიც ცენტრ შონ ბრედლის ოდნავი ამოსუნთქვის საშუალებას მისცემს.

სისუსტე: ახალი გუნდის შენება დიდხანს გრძელდება. სამი წლის წინანდელი დონის მიღწევამდე ბევრ თამაშს წააგებენ.

რას იზამენ: ითამაშებენ „ნელსონ-კალათბურთს", რომელიც იმდენადაა უნიკალურია, რამდენადაც უსახური.

მინესოტა ტიმბერვულვზი

წინა სეზონი: 45-37
ფლეი ოფი: 2:3 სიეტლთან პირველ წრეში
მწვრთნელი: ფლიპ სონდერსი (კარიერაში 105-121)

მოვიდნენ: ჯო სმიტი (ფილადელფიადან); ბობი ჯექსონი, დინ გარეტი (ორივე — დენვერიდან); მალიკ სილი (დეტროიტიდან); რადოსლავ ნესტეროვიჩი (დრაფტიდან)

წავიდნენ: ტომ გულიოტა (ფინიქსში); მაიკლ ვილიამსი (ტორონტოში); ჩეროკი პარკსი (ვანკუვერში); ტერი პორტერი (მაიამიში); სემ მიჩელი (უგუნდოდ)

სიძლიერე: სისწრაფე. მინესოტელებს ჰყავთ ორი ახალგაზრდა ვარსკვლავი — კევინ გარნეტი და სტივენ მარბერი, რომლებმაც თავიანთი სწრაფი თამაშით ასოციაციაში ერთ-ერთი ყველაზე „ტემპიანი" გუნდის სახელი დაუგდეს „მინესოტა ტიმბერვულვზს". 211-სანტიმეტრიანი, ერთობ მოქნილი თავდამსხმელი კევინ გარნეტი სუპერვარსკვლავობას უმიზნებს, გამთამაშებელ მარბერისაც იქითკენ უჭირავს თვალი.

სისუსტე: გუნდმა ათიოდე დღის წინ დაკარგა ერთ-ერთი უძლიერესი მოთამაშე ტომ გულიოტა, რომელიც კარგად იყო შეთამაშებული ორ ზემოთ ნახსენებ მოთამაშესთან. მის ნაცვლად „ფინიქსიდან" გადმოსული ჯო სმიტი სრულფასოვნად ვერ შეცვლის გულიოტას. „მინესოტამ" აგრეთვე ხელიდან გაუშვა რამდენიმე კარგი მოთამაშე (პორტერი, მიჩელი, პარკსი), რომელთა გამოცდილება გუნდს დიდად წაადგებოდა.

რას იზამენ: ზედიზედ მესამედ მოხვდებიან ფლეი ოფში.

ვანკუვერ გრიზლიზი

წინა სეზონი: 19-63
ფლეი ოფი: ვერ მოხვდა
მწვრთნელი: ბრაიან ჰილი (კარიერაში 210-167)

მოვიდნენ: კარლ ერერა (სან ანტონიოდან); ჩეროკი პარკსი (მინესოტადან); მაიკ ბიბი, ფილიპე ლოპესი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: ანტონიო დანიელსი (სან ანტონიოში); ჯორჯ ლინჩი (ფილადელფიაში); ბლუ ედვარდსი (უგუნდოდ); ბობ ჰარლი (კონტრაქტი გააუქმა)

სიძლიერე: 2005 წლამდე დაიტოვეს ფრთა შარიფ აბდურ რაჰიმი. პერსპექტიულია ახალბედა უკანახაზელი მაიკ ბიბი. შესაძლოა, შეიკრას კარგი ღერძი: ბიბი — აბდურ რაჰიმი — ბრაიანტ რივზი.

სისუსტე: არავის სურს, ითამაშოს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ციმბირში.

რას იზამენ: იბრძოლებენ ბოლოსწინა ადგილისთვის.

ჰიუსტონ როკიტსი

წინა სეზონი: 41:41
ფლეი ოფი: 2:3 იუტასთან პირველ წრეში
მწვრთნელი: რუდი ტომიანოვიჩი (კარიერაში 322-200)

მოვიდნენ: სკოტი პიპენი (ჩიკაგოდან); ანტუან კარი (იუტადან); ენტონი მილერი (ატლანტადან); ბრაის დროუ, მაიკლ დიკერსონი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: კლაიდ დრექსლერი, ჩარლზ ჯონსი (ორივემ თავი დაანება); მარიო ელი (სან ანტონიოში); კევინ ვილისი (ტორონტოში); ემანუელ დევისი, სერუ ცვიკერი (ორივე — უგუნდოდ)

სიძლიერე: უდიდესი გამოცდილება. „ჰიუსტონის" ლიდერებს ოლაჯუონს, პიპენს და ბარკლის უთამაშოთ ფლეი ოფის ფინალში. ამათგან მხოლოდ ბარკლი დარჩა ცარიელზე, ხოლო პიპენმა ექვსჯერ, ოლაჯუონმა კი ორჯერ მოიპოვეს ჩემპიონის ტიტული. უდიდესი შენაძენია სკოტი პიპენი, რომელიც კარგად შეეწყო გუნდს და აქ ფრთის პოზიციაზე ითამაშებს

სისუსტე: ხშირი ტრავმიანობა, რაც ასაკს მოაქვს. ზემოთ ნახსენები სამეულიდან ყველაზე უმცროსი 33 წლის პიპენია და ოლაჯუონისა და ბარკლის მსგავსად, მანაც მძიმე ტრავმა გადაიტანა წინა სეზონში. გუნდს არ უვარგა უკანა ხაზი. აქ შარშან მშვენივრად ირჯებოდა კლაიდ დრექსლერი, მაგრამ მან კალათბურთს თავი დაანება

რას იზამენ: თუ ტრავმებმა არ შეაწუხათ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეუძლიათ

დენვერ ნაგითსი

წინა სეზონი: 11-71
ფლეი ოფი: ვერ მოხვდა
მწვრთნელი: მაიკ დანტონი (დებიუტანტი)

მოვიდნენ: ანტონიო მაკდაიესი (ფინიქსიდან); ნიკ ვან ექსელი (ლეიკერსიდან); ჩონსი ბილაპსი (ტორონტოდან); მონტი ვილიამსი (სან ანტონიოდან); ჯონი ტეილორი (ორლანდოდან); რეიფ ლაფრენცი, კიოუნ კლარკი (ორივე — დრაფტიდან)

წავიდნენ: ჯონი ნიუმენი (კლივლენდში); ჰაროლდ ელისი (ნიუ ჯერსიში); დინ გარეტი, ბობი ჯექსონი (ორივე — მინესოტაში); ტონი ბეტი (ლეიკერსში); პრისტ ლოდერდეილი (ჩიკაგოში); ლაფონსო ელისი, ენტონი გოლდვაიერი (ორივე — უგუნდოდ)

სიძლიერე: წინა სეზონის ყველაზე უსუსური გუნდი ახალს რამდენიმე ცვლილებით ხვდება. მოვიდა დებიუტანტი მწვრთნელი მაიკ დანტონი. გუნდმა ორი ვარსკვლავი დაიმატა — ძველ გუნდს დაუბრუნდა თავდამსხმელი ანტონიო მაკდაიესი და ექსლეიკერსელი გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი. თავი უნდა გამოიდოს ერიკ ვილიამსმა, ვისაც შარშანდელი სეზონი მთლიანად გაუცდა.

სისუსტე: მიუხედავად სერიოზული ცვლილებებისა, „დენვერი" ჯერ ვერ შეძლებს რაიმე მიზნისთვის ბრძოლას. გუნდმა გაუშვა ლაფონსო ელისი, ვინც ბოლო ხუთი წლის საუკეთესო მოთამაშედ ითვლებოდა. გუნდის ხელმძღვანელობამ არად ჩააგდო მისი ღვაწლი და ხალხის დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, აღარ განუახლა კონტრაქტი.

რას იზამენ: თვალშისაცემად მოუმატებენ.

საქართველოს კალათბურთის ჩემპიონატი 13 ტური

ანონსი

3 თებერვალი. ვერის ბაღი. 14 საათი

შეპარდენი — ასკ

ეს გუნდები ამ სეზონში პირველად ხვდებიან ერთმანეთს (ასკ მეორე წრიდან ჩაება გათამაშებაში). ორივე გუნდი ახალგაზრდულია, თანაც სატურნირო მდგომარეობით ვერც ერთი ვერ დაიტრაბახებს. ისინი აუტსაიდერები არიან და ბუნებრივია, ერთმანეთს მოედანზე არაფერს დაუთმობენ, ეცდებიან, ერთი საფეხურით მაინც აინაცვლონ გათამაშების ცხრილში.

წინა შეხვედრები ორივემ წააგო: „შევარდენი“ დიდი ანგარიშით დამარცხდა ექვსგზის ჩემპიონ „ვითასთან“, შემდეგ კი „მაკაბისთან“.

ასკ-მაც ვერაფერი გაახერხა ჩემპიონატის ლიდერებთან — „ვითასა“ და „აზოტთან“. „დინამოსთან“ ტაიმნახევარი ქულა-ქულაზე ითამაშეს და ღირსეულად დამარცხდნენ. ასე რომ, ასკ, რაც ჩემპიონატში ჩაება, გამარჯვება არ უზეიმია და ბუნებრივია, „შევარდენთან“ შეხვედრისას მოგებისთვის ძალებს არ დაზოგავს.

პირველ წრეში აწ უკვე არმიელები — დავით აკოლაშვილი და ცენტრი ბექა ნუცუბიძე სწორად „შევარდენში“ თამაშობდნენ და, საინტერესოა, თუ როგორ გამოიყენებს ასკ ამ „საჩუქარს“. ეს ორი მოთამაშე ხომ „შევარდენი“ დამრტყმელ ძალას წარმოადგენ[illegible] და უდავოდ კარგი სანახავი [illegible]ათი ბრძოლა საკუთარი გუნდის წინააღმდეგ. „შევარდენი“ თავისთავად შეეცდება, დაამტკიცოს, რომ აკოლაშვილისა და ნუცუბიძის გარეშეც არ არის ხელწამოსაკრავი გუნდი. წაგებული თამაშების შემდეგ იგი, ცხადია, მხოლოდ მოგების წყურვილით გავა მოედანზე. შევარდენელებს გია კაზანჯიანს, კახა მაჭავარიანს, შალვა გაგნიძეს ძალუძთ, შორიდან სროლებითაც ახეირონ გუნდი, რაც მათ არაერთხელ დაუმტკიცებიათ.

ᲑᲔᲡᲘᲚ ᲛᲔᲢᲠᲔᲕᲔᲚᲘ

5 თებერვალი. ვერის ბაღი. 17.30 საათი

მაკაბი — სტუ

წინა ტურის მატჩები ახლანდელმა მეტოქეებმა გამარჯვებით დაასრულეს. „მაკაბიმ“ ცხრილში ახლო მყოფი „შევარდენი“ დაჩაგრა. სტუ-მ შეჭირვებული თსუ იმსხვერპლა. ახლა ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდებიან და უეჭველია, მოგებისთვის იბრძოლებენ. ამ მატჩში უპირატესობა სტუ-ს მხარეზეა. მაკაბელები მრისხანე სტუდენტობას დიდად შეეწინააღმდეგებიან, მაგრამ საწადელის მიღწევა, ალბათ, გაუჭირდებათ. ამის თქმის საფუძველს „მაკაბის“ ყბადაღებული პრობლემა — შესუსტებული შემადგენლობა გვაძლევს. მეორე წრის დასაწყისში წასულთა შემცვლელები ჯერ არ გამოჩენილან. ეგ კი არა, ვინც დარჩა, იმათაც მოისაკლისებენ. არა, წასვლით არავინ წასულა. ერთი ეგაა, დავით ბერიშვილი ხელს იტკიებს და იძულებით შესვენებისას მწვრთნელის როლში გვევლინება. რახან სიტყვამ მოიტანა, იმასაც დავამატებთ, რომ მთავარი მწვრთნელი ვაჟა მხეიძე სირიაში გამგზავრებულა და ჯერჯერობით არ ჩანს. კარგა ხანია, არც ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშისთვის, მალხაზ ანდღულაძისთვის მოგვიკრავს თვალი (თუ რა არის მიზეზი, ვერ შევიტყვეთ). არადა, ეს ბიჭი მაკაბელთათვის დიდი ძალაა.

ჰოდა, ისედაც კაცნაკლული მეტოქის კიდევ უფრო შესუსტება უეჭველად სტუ-ს წისქვილზე ასხამს წყალს. სტუდენტურ გუნდში ყველა მწყობრშია, არც მოთამაშეთა და მწვრთნელთა სიმცირე შეინიშნება. ასე რომ, სტუ მთელი ძალით გაირჯება და, ალბათ, შესაბამის სათამაშო ტაქტიკასაც შეარჩევს — სწრაფი ტემპი და პრესინგი. თანაც, უთუოდ შორეულ სროლებზე გააკეთებენ აქცენტს (ფარზე საპაექროდ ხომ ოთიურიძე — ცქიტიშვილი — მინაშვილი ეგულებათ) და თუ სამიანებიც წაუვიდათ, მაშინ ნახეთ მათი გალაღება.

ᲐᲩᲘᲫᲝ ᲑᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘ

3 თებერვალი. ვერის ბაღი. 15.30 საათი

აზოტი — სდასუ

საქართველოს საკალათბურთო ჩემპიონატი ნელ-ნელა ეშზში შედის და საინტერესო მატჩებმაც იმატა. ასეთი მეცამეტე ტურში უდავოდ „აზოტი“ — სდასუ-ს შეხვედრა იქნება და აი, რატომ. ცოტა შორიდან მოვყვეთ და გავიხსენოთ, რომ უკანასკნელი სამი სეზონის მანძილზე სტუდენტებს სწორედ რუსთაველი ბარიერი ეღობებოდა წინ. შარშან ეს გუნდები ფლეიოფის ნახევარფინალში შეებნენ ერთმანეთს და უშედავათო ბრძოლაში ფინალს „აზოტმა“ უწია. არც ის დაგავიწყდეთ, რომ შარშანდელ ჩემპიონატში რუსთაველები წაუგებლად ლიდერობდნენ და ერთადერთი მარცხი უკანასკნელ ტურში სწორედ სდასუსგან იწვნიეს. იქამდე კი ზედიზედ ორჯერ ეს კლუბები მესამე ადგილისთვის შეხვდნენ და ბრინჯაო ორჯერვე „აზოტმა“ ირგუნა. ერთი სიტყვით, უკანასკნელ წლებში ეს გუნდები ერთმანეთისთვის ძალიან უხერხულ მეტოქეებად ჩამოყალიბდნენ და აქედან გამომდინარე, ძნელი სათქმელია, რა მოხდება დღეს.

შემადგენლობებს რომ გადავხედოთ, უმალ „აზოტის“ უპირატესობა მოგვხვდება თვალში. მათ ჰყავთ ირაკლი ჯაფარიძე, რომელიც უდავოდ საუკეთესო ცენტრია მერვე ეროვნულში. ამ პოზიციაზე მას არანაკლებ საზრიანი და გამოცდილი მიხეილ ბერუაშვილი ეხმარება, ოდნავ უკან კი წლეულს საგრძნობლად მოძლიერებული ზვიად ბაბიაშვილი ირჯება და არცთუ ურიგოდ. რუსთაველთა უკანახაზიც განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია. გამთამაშებელი არჩილ ჟღენტი უნარიანად უძღვება გუნდის შეტევებს. მას ზურგს ზაზა გაბისონია უმაგრებს, რომელიც შედეგიანობასთან ერთად დაცვაში ჩინებული თამაშითაც გამოირჩევა. მსროლელის პოზიციაზე კი „აზოტს“ რამაზ გოგობერიშვილის ეიმედება, რომელსაც თავისიანთა გაძღოლაც ეხერხება და გადამწყვეტ მომენტებში აუღელვებელი ქმედებაც. ამას დავუმატოთ რუსთაველთა საკმაოდ გრძელი სკამი და მივხვდებით, რომ ვიცე-ჩემპიონების დამარცხება მეტოქე გუნდისგან უდიდეს ძალისხმევას მოითხოვს.

თავის მხრივ, სტუდენტები საკუთარი კოზირების გამოყენებას შეეცდებიან. რამდენად გაამართლებს მათი ტაქტიკური მონახაზი, ეს მნიშვნელოვანწილად თორთლაძე-უძილაურის ტანდემზე იქნება დამოკიდებული. თუ შეძლეს და თავიანთი თამაში მოახვიეს მოწინააღმდეგეს თავს, მათი შეჩერება უკიდურესად გაძნელდება. სახიფათოა თამაზ გიგაურიც, რომელიც გუნდში ფასდაუდებელ სამუშაოს ასრულებს და ამასთან ერთად ზუსტი სამიანების შესრულებაც ძალუძს. სდასუ არც ტანმაღალი მოთამაშეების სიმცირეს უჩივის. მათი ცენტრები — მაჭარაძე, გიგაშვილი, ქევხიშვილი, ხარაძე — ალბათ, რიგრიგობით შეეცდებიან ირაკლი ჯაფარიძის განეიტრალებას.

საბოლოო გამარჯვებაც იმ გუნდს დარჩება, რომელიც მეტად იყოჩაღებს. ამ მატჩის შედეგის წინასწარმეტყველება ზედმიწევნით რთულია.

ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲑᲘᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ

7 თებერვალი. ვერის ბაღი. 17 საათი

დინამო — ვითა

შაბათს გასამართი ამ გუნდების შეხვედრა კვირას ჩატარდება, ერთი ორიგინალური მიზეზის გამო. საქმე ისაა, რომ შაბათს ვითელებს ოფლის მოსადენად ნაღდად არ ეცლებათ, სამგიეროდ, გუნდურ განცხრომას მიეცემიან, სუფრას მიუსხდებიან და თანაგუნდელ გულვერ ახალკაცს ახალშექმნილ ოჯახს უდღეგრძელებენ. არა გვგონია, ჩემპიონებმა ბოლომდე მოიღხინონ. ამის უფლებას მათ მწვრთნელი, ზურაბ ტომარაძე არ მისცემთ, მეორე დღეს ხომ თვით „დინამოს“ უნდა გაეჯიბრონ, „დინამოს“, რომელიც ზედიზედ სამი გამარჯვებით ფრთაშესხმული წარმატებული სეზონის შეწყვეტას სულაც არ აპირებს.

„ვითა“ — „დინამოს“ დაპირისპირება ყოველთვის განსაკუთრებული პრინციპულობით გამოირჩეოდა და, ალბათ, ახლაც ამგვარად იქნება. ასე იყო პირველ წრეშიც, როცა უფრო გამოცდილმა „ვითამ“ მხოლოდ რვა ქულით მოუგო გაცილებით ახალგაზრდა კალათბურთელებით დაკომპლექტებულ „დინამოს“, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა. დინამოელებმა ირაკლი ხოშტარიასა და რუსეთმოვლილი კილაძის სახით სოლიდური შევსება მიიღეს. სავარაუდოა, რომ ყოველივე დროდადრო მათ თამაშსაც დაეტყობა და ყველა ღონეს იხმარენ საუკეთესო ოთხეულში მოსახვედრად. „ვითამ“ კი საახალწლო არდადეგებზე მუშკუდიანი და გაგნიძე მოისაკლისა. პირველი ბულგარეთშია, მეორე კი სტუში გადაბარგდა. არსად ჩანს მამუკა ტურაშვილიც, გასაგები მიზეზის გამო ახალკაცის თამაშიც ერთობ სათუოა.

მიუხედავად ყველაფრისა, ვითელთა სიძლიერეში ეჭვის შეტანა არასწორი იქნება. ეს რომ ასეა, მათ წინა ტურშიც დაამტკიცეს, როდესაც აღმავლობის გზაზე მდგომ სდასუელებს ორი ქულა წაართვეს და ხუთმატჩიანი გამარჯვებათა სერია შეაწყვეტინეს. ცენტრზე ჩემპიონები გოდერძი კორძაძეს დაეყრდობიან, რომელიც ნელ-ნელა იბრუნებს ჩვეულ ფორმას.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲢᲝᲛᲐᲠᲐᲫᲔᲡ ᲤᲝᲢᲝ

პირველი წრის სდასუ — აზოტი. ამ დღეს კალათბურთიც კარგი ვნახეთ და მუშტი-კრივიც

მას ორმოცაძე და ჩუბინიძე მიეხმარებიან როგორც საკუთარ, ასევე მეტოქის ფარზე გასაბატონებლად. დავითულიანი ჩვეული მონდომებით შეეცდება დინამოელთა დაწიოკებას, შეტევებს კი აბრამიძე გაუძღვება.

„დინამოს“, ბუნებრივია, კილაძე-ხოშტარიას გამოცდილების ეიმედება. მათ, შანიძეც შეუამხანაგდება, რომელიც ბოლო ხანს მცირე ტრავმის გამო იძულებით ისვენებდა. ამათ დავუმატოთ წიკლაური, ნიკოლაძე, ნინიაშვილი და კარგად ძლიერი გუნდი შეგვრჩება ხელთ.

ᲓᲘᲛᲘᲢᲠᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲐᲜᲘᲫᲔ

6 თებერვალი. ვერის ბაღი. 14 საათი

ოსუ — კოლხა

წლევანდელი სეზონის მეორე წრეში ორივე გუნდმა დიდი ძალა დაკარგა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა ნიკა ცქიტიშვილმა, დატოვა რომელიც ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდში გადაბარგდა. რაც შეეხება სოხუმის „კოლხას“, მას ასევე წამყვანი კალათბურთელი ვანო აბულაძე დააკლდა. ეს უკანასკნელი თბილისის „დინამოში“ გადავიდა.

ჩემპიონატის პირველ წრეში ამ გუნდების შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა და თსუ-ს გამარჯვებით დამთავრდა. აქედან გამომდინარე, ახალგაზრდა კოლხები მოედანზე მხოლოდ რევანშის ასაღებად გავლენ. თუმცა არც სტუდენტები დაზოგავენ თავს. მათ წინა მატჩები მეტად დაძაბულ ბრძოლაში დათმეს ძლიერ მეტოქეებთან — სტუ-სა და სდასუ-სთან. ამ შეხვედრებში უნივერსიტეტელებმა გამარჯვებისთვის ყველაფერი იღონეს, მაგრამ ძალა არ ეყოთ და თანაც ვერც არჩილ ხელაშვილი მიეხმარა მათ სდასუელებთან მატჩში, რომელიც დისკვალიფიცირებულია. ხელაშვილის არყოფნაში გუნდს ოდისეი დიმიტრიადი უძღვება. მას ზურგს ახალგაზრდა გიორგი მარკოიშვილი და გოჩა წოწელია უმაგრებენ. „კოლხას“ შემადგენლობაში კი უგრეხელიძე—ქვილითაია—კეიდიას ტრიო გამოირჩევა. თუ ორივე გუნდმა თავისი პოტენციალის მაქსიმუმი გამოიყენა, საინტერესო თამაში უნდა ვიხილოთ. მეორე წრეში მეტოქეებმა აშკარად შეიცვალეს სახე და სიურპრიზებიც არ არის გამორიცხული. „კოლხა“ თავისას შეეცდება, თსუ კი წაგებული თამაშების შემდეგ თავისი გულშემატკივრების გახარებას ვეგმავს.

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲑᲝᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ᲕᲘᲡᲘᲐ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ: ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲘ ᲗᲣ ᲑᲘᲭᲔᲑᲘᲡ?

— ყველა თამაში წავაგეთ, ჯგუფში ბოლო ადგილი დავიკავეთ და სალაპარაკოც თითქოს რაღაა, მაგრამ პირობებიც სათქმელია. ვარჯიშით მხოლოდ ათი დღე ვივარჯიშეთ, ისიც დღეში მხოლოდ თითო საათით. ხანგრძლივად აუზს არ გვითმობდნენ, ეს კი აშკარად არასაკმარისია. ამას დაემატა უფულობაც. ჩვენთვის ერთი თეორიც არავის მოუცია. ამიტომ ჯერ გამზავრებას არც ვაპირებდით, მაგრამ შემდეგ ბიჭებმა თავად გამონახეს თანხები და ისე წავედით, თუმცა უფულობის გამო ვერ წავიყვანეთ გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ალავიძე, რამაც დაცვაში სერიოზული პრობლემები შეგვიქმნა. საბქოლოოდ, რომ არა სარფის საბაჟო სამსახურის დახმარება, ფული არ გვეყოფოდა და შუა გზაში დავრჩებოდით. ხელმოკლეობამ ვერც ლეგიონერები ჩამოგვაყვანინა. აი, ასეთი პირობების გადამკიდენი ჩავედით თურქეთში და აბა, რა გასაკვირია, თუ ყველა მატჩი წავაგეთ. თავი იჩინა ფიზიკურმა მოუმზადებლობამ. თანაც, ჩვენ აქ პატარა აუზში ვვარჯიშობდით, ამიტომ დასაწყისში ყველასთან თანაბრად კი ვთამაშობდით, მაგრამ მერე მალე ვიღლებოდით. შედეგები კი ასეთია: პოლონეთთან — 8:10, სლოვენიასთან — 8:15, თურქეთთან — 2:14, რუმინეთთან — 7:10, ბელარუსთან — 9:11. ამ წაგებულმა მატჩებმაც კი დამანახა, რომ თუ ცოტა მეტი ყურადღება მიექცევა, ამ გუნდით რეალურად შეიძლება გარკვეულ წარმატებაზე ფიქრი.

— ნაკრებს მთავარ მწვრთნელად კი ახლდით, მაგრამ ოფიციალურად თუ დაგამტკიცეს ამ თანამდებობაზე?

— ჯერ არა და საერთოდ რა იქნება შემდგომ, ვერ გეტყვით. „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ვარ და რადგან ნაკრები ამ კლუბის ბაზაზეა, ამიტომ გავყევი. ეს ჩემი ინიციატივაც იყო, თორემ ოფიციალურად არავის დაუკალია.

— ნაკრებს ივნისში მნიშვნელოვანი თამაშები ელის. ასეთ პირობებში კი წარმატებაზე ფიქრიც უაზრობაა. მდგომარეობის გამოსასწორებლად, ღირსეულად საასპარეზოდ გამოსავალს თუ ხედავთ?

— ძნელი კითხვაა... თუ მდგომარეობა არ გამოსწორდა, ბუნებრივია, არაფერი გვეშველება. ჩვენი ფედერაციის პრეზიდენტმა წყალი უნდა გამოგვიძებნოს, მაგრამ არა დღეში ერთი საათით და არა ათი დღით. ერთი საათით ვარჯიში არაფერს მოგვცემს. მინიმალური პირობები მაინც უნდა შეგვიქმნან, რადგან ეს ეროვნული ნაკრებია.

— თურქეთში პოლონელებსა და რუმინელებსაც შეხვდით, რომლებიც ივნისში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი მეტოქეები იქნებიან. ჩვენს დღეში მყოფთათვის ძნელია მათთან თანაბრობაზე ლაპარაკი. და მაინც: რადგან მომავალი მეტოქეები საქმეში ნახეთ, რას იტყვით მათზე?

— ოდნავ მეტი ყურადღება, მინიმალური პირობები და თამაში ყველასთან შეიძლება, თუ არა, ყველასთან წავაგებთ. როგორ შეიძლება პოლონეთთან თანაბრად თამაში ან მოგება, როცა ეს გუნდი წელიწადში 85-ჯერ მაინც თამაშობს, ჩვენ კი...

ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲗᲐᲕᲐᲫᲔ

კასპაროვი უფულოებს არ ეთამაშება

ჰოლანდიაში ჭადრაკი უყვართ. კაშხალებისა და ტიტების ქვეყანამ მსოფლიოს ჭადრაკს მაქს ეიმვე აჩუქა, ხოლო გრონინგენის, ტილბურგისა და ვიიკ-აან-ზეეს საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობა ჭადრაკის გრანდებსაც კი არასოდეს უთაკილიათ...

ვიიკ-აან-ზეეს ტურნირს 60-წლიანი ისტორია აქვს და იგი, ტრადიციულად, წელიწადის პირველ თვეს იმართება. წლევანდელი შეჯიბრი ჭადრაკის მოყვარულთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა, რადგან 15-დან 31 იანვრამდე ჰოლანდიაში პრაქტიკულად მთელი საჭადრაკო ელიტა შეიკრიბა. აი, ისინიც: კასპაროვი, ანანდი, კრამნიკი, შიროვი, ივანჩუკი, სვიდლერი, ტოპალოვი, პიკეტი, ტიმანი, სოკოლოვი, ვან ველი, იერმოლინსკი, რეიდერმანი და კაზიმჯანოვი. განსაკუთრებით დამაინტრიგებელი, ცხადია, ამ კომპანიაში გარი კასპაროვის ყოფნა გახლდათ, რადგან ეს იყო მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკის პირველი სერიოზული გამოსვლა ნახევარწლიანი შესვენების შემდეგ. 1998 წლის ივლისიდან დეკემბრის ჩათვლით კასპაროვმა, არც მეტი, არც ნაკლები, 6(!) ოფიციალური პარტია ითამაშა, ხოლო გაცილებით მეტი დრო კრამნიკთან მოსკოვის ერთ-ერთ კაზინოში ბლიც-პარტიების თამაშში, ბაიდარით ნაოსნობასა და საფეხბურთო მოედანზე სირბილში გაატარა. ვიიკ-აან-ზეეში კასპაროვს უნდა დაემტკიცებინა, რომ იგი კვლავ უძლიერესია და ეს ჩინებულად მოახერხა კიდეც. პირველ ტურში ივანჩუკთან დაზავების შემდეგ საჭადრაკო სამყარო უბრალოდ გააოგნა მისმა ზედიზედ შვიდმა გამარჯვებამ, რაც მსგავსი დონის ტურნირში ფანტასტიკურ მიღწევად აღიქმება. კასპაროვისგან ძლიერთა შორის აღმოჩნდნენ შიროვი და ტოპალოვი, თანაც ამ უკანასკნელთან ეტლის შეწირვით მოპოვებულმა გამარჯვებამ კასპაროვს ტურნირის ულამაზესი პარტიისთვის დაწესებული პრიზიც არგუნა. IX ტურში გაბოსნიელებული რუსის, სოკოლოვისგან 28-ე სვლაზე ნაწვნევი მარცხი შეიძლება მივიჩნიოთ მცირეოდენ კრიზისად, რომელსაც ყველა მოკვდავი განიცდის. კასპაროვმა დარჩენილ 4 ტურშიც აღმავლობით ითამაშა, სვიდლერის დამარცხებისა და სამი ყაიმის ხარჯზე თავის ქულათა მარაგს კიდევ 2,5 ქულა შეჰმატა და 13 შესაძლებლიდან 10 ქულით გამარჯვებაც იზეიმა. კასპაროვი კვლავ რჩება პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკედ. იმავდროულად, ხსენებულმა გამარჯვებამ ფიდესა და მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს დაპირისპირებაშიც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ შეიტანა კორექტივები, მიუხედავად იმისა, რომ კასპაროვისა და შიროვის ჯერ კიდევ შარშან დაგეგმილი მატჩი მსს-ს ჩემპიონის ტიტულისთვის ჯერაც არ შემდგარა. მიზეზი ტრივიალურია: ფულის უკმარისობა. ფიდეს-გან განდგომით კასპაროვმა ფაქტობრივად დააბრუნა კაპაბლანკასა და ალიოხინის დროინდელი სიტუაცია, როცა მსოფლიოს ჩემპიონი განსაზღვრავდა ფინალური მატჩის ყველა პირობას, მათ შორის საპრიზო ფონდის ოდენობას, რომელიც პრეტენდენტს უნდა გაეხერხებინა, და საკუთარ წილს მასში. ბევრი ოფლი ღვარა შიროვმა, მაგრამ მაქსიმუმი, რისი შონაც მოახერხა, 1 მილიონი დოლარი გახლდათ, რაც საჭირო თანხის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდა. ეს მომენტი კასპაროვმა აღნიშნა კიდეც ვიიკ-აან-ზეეში ტურნირის დაწყების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე და დასძინა, ერთადერთ მოჭადრაკედ, რომელსაც სპონსორებში კომერციული ინტერესის აღძრა შეუძლია, ანანდი მიმაჩნია და სულაც არ გამოვრიცხავ მასთან თამაშსო. ამამ შიროვს, ეტყობა, გული ატკინა და კასპაროვის ნათქვამს შეუფერებელი უწოდა. „მე ცდა არ დამიკლია საპრიზო ფონდის საშოვნელად და ამ საკითხზე ახლაც ბევრს ვმუშაობ, ამიტომ კასპაროვის მხრიდან უმართებულოა ანანდთან შესაძლო შეხვედრაზე ლაპარაკი“ — განაცხადა შიროვმა სინანულით. ყველაფერი ალბათ მალე გაირკვევა...

რაც შეეხებათ დანარჩენ გრანდებს, ტურნირის საბოლოო ცხრილში ერთი საინტერესო ფაქტი დაფიქსირდა: საპრიზო ადგილები განაწილდა ზუსტად იმ მიმდევრობით, როგორიც ეს ფიდესა და მსოფლიოს საჭადრაკო საბჭოს რეიტინგ-ლისტებშია ასახული, ანუ მეორე ანანდი იყო 9,5 ქულით, მესამე — კრამნიკი, რომელსაც 8 ქულა დაუგროვდა.

დავით გულუა

დასაწყისი პირველ გვერდზე

გაგვაგებინეთ, ვინ არის მწვრთნელი?!

ბუნებრივია, ამაზე საუბარი რუმინელებთან ავადმოსაგონარი მატჩის მეორე დღესვე დაიწყო და მაშინვე დამთავრდა — თითქმის ყველაფერი მობურთალთ დაბრალდათ, მაგრამ დამთავრდა მხოლოდ უბრალო გულშემატკივრისთვის. სპეციალისტებმა კი ერთხმად აღიარეს, რომ იმ დღეს ნაკრებმა არასწორი ტაქტიკით ითამაშა, უფრო სწორად, ბიჭებმა არ იცოდნენ, როგორ შეეტიათ. კიდევ ერთი მიზეზი, რამაც ქართველთა მარცხი განაპირობა, ის იყო, რომ ზოგი მორაგბე მისთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშობდა. თუ რატომ, ეს უკვე ცალკე საკითხია და თუ მდგომარეობა არ შეიცვალა, ამ პრობლემას მომავალშიც წავაწყდებით. ირლანდიიდან დაბრუნების შემდეგ ნაკრების მწვრთნელმა გურამ მოდებაძემ პრესკონფერენცია გამართა, რომელზეც მთელი პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო. მერე კი ძია ბურმგლამ გააკეთა განცხადება, რომელსაც შემდეგ რაგბის კავშირის პრეზიდენტმა ბიძინა გეგიძემ ღიმილისმომგვრელი უწოდა, ისევე, როგორც მთლიანად პრესკონფერენციას. თან დაამატა, ამ პრესკონფერენციის გამართვის შესახებ არაფერი ვიცოდიო. მოდებაძემ კი შემდეგი განაცხადა — საშუალებას არ მაძლევდნენ, შემადგენლობა ჩემი შეხედულებისამებრ დამეყენებინაო. ასეთი ადამიანი თურმე ოთხი ყოფილა. თუ მწვრთნელი შემადგენლობას ვერ აყენებდა, ბუნებრივია, ვერც სათამაშო ტაქტიკას შეიმუშავებდა. ან, საერთოდ, ვინ იყო ის ოთხი კაცი, რომლებიც მწვრთნელს ხელს უშლიდნენ? სამწუხაროდ, მათი ვინაობა მოდებაძემ არ გაგვიმხილა. თუმცა მწვრთნელის განცხადება მაშინვე უარყო რაგბის კავშირის გენერალურმა მდივანმა გია ჭუმბურიძემ, რომელსაც, პრეზიდენტისგან განსხვავებით, სცოდნია პრესკონფერენციის გამართვის შესახებ. მისი თქმით, შემადგენლობის დასახელების უფლება მხოლოდ ორ კაცს — გურამ მოდებაძეს და კლოდ სორელს ჰქონდა, სხვა მათ საქმეში არ ერეოდა, თუმცა მას არ დაუკონკრეტებია, რომელს ეკუთვნოდა გადამწყვეტი სიტყვა. ეს ვითარება ძალიან ჰგავს ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ფეხბურთის ახალგაზრდულ ნაკრებში შექმნილ სიტუაციას, როცა არავინ უწყოდა, ვინ იყო მთავარი მწვრთნელი. თუმცა ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ამ გაურკვევლობას მალე მოუღეს ბოლო. გაუგებარია, რატომ იკისრა გურამ მოდებაძემ პასუხისმგებლობა რუმინეთთან მარცხის გამო, თუკი მას არც შემადგენლობის დაყენება შეეძლო და აქედან გამომდინარე, არც ტაქტიკის შემუშავება. და თუ იქ კლოდ სორელისა და გურამ მოდებაძის გარდა არავის ჰქონდა უფლება, გუნდის შემადგენლობა და სათამაშო ტაქტიკა განესაზღვრა, გამოდის, რომ ირლანდიაში მთავარ მწვრთნელზე მაღლა კონსულტანტი იდგა და საბოლოო სიტყვაც მას ეკუთვნოდა. ესე იგი, ჩვენმა ფრანგმა კონსულტანტმა ნაკრები არასწორი ტაქტიკით ათამაშა და პასუხისმგებლობაც ამ მარცხის გამო მას უნდა ეტვირთა, პირიქით კი მოხდა. ახლა ჩვენი გუნდის უფროსის ტანსაცმელზობაზე ვოქვათ და შემდეგ ისევ იმ ავადმოსაგონარ მატჩს დავუბრუნდეთ. მართალია, ოთხივე შეხვედრა წავაგეთ, მაგრამ იმ შემადგენლობით, რაც უელსში იყო, მოგებაზე ფიქრი ჯერ ნაადრევია, უელსური კლუბები კი ხელწამოსაკრავი ნამდვილად არ არიან. თუმცა, მარცხის მიუხედავად, ნაკრების თამაშში შეინიშნებოდა გარკვეული ტაქტიკური სიახლეები, რომლებიც რუმინეთთან მატჩში არ გამოიყენებულა, ამას კი შეეძლო, შედეგზე ემოქმედა (ჩვენს სასარგებლოდ, რა თქმა უნდა). მაშ, რატომ არ ისარგებლა ამით ბატონმა კლოდმა თავის დროზე? აქ უკვე მეორე პრობლემა იჩენს თავს. თბილისში ყოფნის დროს ფრანგს დაუტოვებია წვრთნის ნუსხა-მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც უნდა მომზადებულიყვნენ ნაკრების წევრები. სამწუხაროდ, საფრანგეთში შეკრებაზე ჩასული მორაგბეები ფიზიკურად ძალიან სუსტად გამოიყურებოდნენ და კლოდ სორელი, იმის მაგვრად, რომ ტაქტიკური სქემები დაემუშავებინა, ბიჭების ფიზიკურად მომძლავრებას ცდილობდა.

ერთი სიტყვით, ნაკრებში, მეტი რომ არ ვთქვათ, არაჯანსაღი სიტუაციაა, რომელსაც რაც შეიძლება მალე უნდა მოეღოს ბოლო. თორემ სავალალო [illegible] გამდე მიგვიყვანს. ამ სიტუაციიდან გამოსავალი კი რაგბის კავშირის ხელმძღვანელობამ უნდა გამონახოს. ბოლოს და ბოლოს, უნდა გაირკვეს, ვინ არის ნაკრების მთავარი მწვრთნელი და კონკრეტული თამაშისთვის ვინ განსაზღვრავს შემადგენლობასა და სათამაშო ტაქტიკას. სხვა თუ არაფერი, ის მაინც გვეცოდინება, ვისი დამსახურება იქნება მოგება და ვის ნამუსზე წაგება.

პაატა თოთაძე

შემდეგი გაჩერება ტოკიო

ტოკიო. იაპონია. PAN PACIFIC OPEN. ხალიჩა. დარბაზი. საპრიზო 1,05 მილიონი $

WTA ტურის წარმომადგენლებმა ერთი კონტინენტიდან მეორეზე გადაინაცვლეს, ანა კურნიკოვას კი იგივე პრობლემები შერჩა.

17 წლის რუსმა ავსტრალიის ღია პირველობის სამ მატჩში 68 ორმაგი



REUTERS ტოკიოდან

შტეფი გრაფი

REUTERS ტოკიოდან

ანა კურნიკოვა იაპონელ თაყვანისმცემელთა გარემოცვაში

შეცდომა დაუშვა და კოლეგათა ხუმრობების მთავარ ობიექტად იქცა. ანაეული ანომალიის მიზეზად ზოგმა ცოტა ვარჯიში დაასახელა, ზოგმა — ზედმეტი, ლინდსი დევენპორტმა ურჩია სხვების რჩევებს ყურს ნუ უგდებო, ფსიქოლოგებმა კი ყველაფერი ფსიქოლოგიურ ზეწოლას გადააბრალეს.

თუმცა ჯერჯერობით არაფერი შეცვლილა: წყნარი ოკეანის ღია პირველობის პირველი წრის მატჩი რუსმა (6) ორი ორმაგი შეცდომით დაიწყო და ხელი მერეც არ დაუკლია, ოღონდ ისევე როგორც მელბურნში, თავის დაძვრენა ამჯერადაც მოახერხა.

გერმანელმა ანკე ჰუბერმა, რომელიც კლასიფიკაციაში სულ უფრო ქვევით ეშვება, მეტოქის შეცდომებით მაინცდამაინც ვერ ისარგებლა, საკუთარი მოწოდება პირველ სეტში ერთადერთხელ შეინარჩუნა და ტაიბრეიკზე გადამწყვეტი უპირატესობა კურნიკოვას სწორედ ორმაგით გადაულოცა. მეორე ხელი ნამდვილი ცალკარა გამოდგა — 7:6 (7:4), 6:0 რუსის სასარგებლოდ.

„მე კარგად ვერ ვითამაშე, მაგრამ ანკეს ჩემზე მეტი პრობლემები ჰქონია. თანაც მელბურნის შემდეგ ასე სწრაფ კორტთან შეგუება ორივეს გაგვიჭირდა“ — განაცხადა მატჩის შემდეგ კურნიკოვამ.

პირველი წრე: შტეფი გრაფი (5, გერმანია) — სამანტა რივსი (აშშ) 6:0, 6:1; ამანდა კუტცერი (7, სამხრეთ აფრიკა) — მაუი სერნა (ესპანეთი) 6:2, 6:1; ნატაშა ზვერევა (8, ბელარუსი) — ტარა სნაიდერი (აშშ) 6:7 (2:7), 6:2, 6:4; მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) — ივა მაიოლი (ხორვატია) 6:1, 6:2; კარა ბლეძი (ზიმბაბვე) — ჟული ალარი (საფრანგეთი) 6:2, 6:1.

სიტყვის რკინის კაცი

მარსელის ღია პირველობა. საფრანგეთი. ხალიჩა. დარბაზი. საპრიზო 540 ათასი 4

ევგენი კაფელნიკოვს ბოლო სეზონებში კოლეგათა შორის ყველაზე მეტი მატჩის გამართვისათვის ტყუილად როდი უწოდებენ „რკინის კაცს“ (ძველი მეტსახელი „კალაშნიკოვი“ წარუმატებლობათა გამო წარსულს ჩაბარდა).

ავსტრალიის ღია პირველობა ესესაა დასრულდა, ჟენიამ კი ორკვირიანი მარათონის შემდეგ დასვენებისა და მიღწეულით დატკბობის ნაცვლად მელბურნიდან პირდაპირ მარსელს მიაშურა და მორიგ ტურნირშიც ჩაება.

„პირადი მიწვევის მისაღებად პირველობის ორგანიზატორებს კვირეების განმავლობაში გულს ვუწუხებდი და მათი დაღალატება ახლა არაფრით შემეძლო, მე სიტყვის კაცი ვარ. თანაც შარშან აქ ფინალში ვითამაშე და საკლასიფიკაციო ქულები უნდა დავიცვა“ — განაცხადა რუსმა, რომელიც შარშან მარსელში მისგან მელბურნში ძლეულმა ტომას ენკვისტმა დაამარცხა.

პირველ წრეში კაფელნიკოვის მეტოქე სეზონის ერთ-ერთი პირველი, ოქლენდის ტურნირის გამარჯვებული სხენგ შალკენი იყო. ახალგაზრდა ჰოლანდიელმა მატჩის დასაწყისში მეტოქის უამრავი უნებლიე შეცდომით ვერ ისარგებლა, მერე კი სოჭელიც გამოცოცხლდა, პირველი სეტის მერვე და მეორე სეტის პირველივე გეიმში ბრეიკი გაახერხა და კორტზე საათზე ოდნავ მეტსღა დაიხარჯა — 6:3, 6:2.

„დროის ამხელა ცვლილების გამო ხეირიანად არ მიძინია და თავს არცუკარგად ვგრძნობ, ამიტომ ამის კვალობაზე საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ — აღნიშნა რუსმა — მიუხედავად იმისა, რომ „ოუფენი“ სამი დღის წინ მოვიგე, ეს უკვე დიდი ხნის ამბად მეჩვენება“.

ამასობაში კი მარსელი დიდი სენსაციის მოწმეც შეიქნა. გახსოვთ როჯერ ფედერერი, იუნიორული უიმბლდონის შარშანდელ ფინალში ირაკლი ლაბაძე რომ დაამარცხა? აი, სწორედ ამ 17 წლის ბიჭმა გამოთიშა ასპარეზობას თვით „როლან გაროსის“ ჩემპიონი კარლოს მოია.

შვეიცარიელი თინეიჯერისაგან განსხვავებით, პირველად განთესილ ესპანელს სწრაფ საფარზე თამაში გულზე არასოდეს ეხატებოდა და ამჯერადაც კლასიფიკაციით 242-ე მეტოქის აგრესიულ დარტყმებს თავისი მძლავრი ფორჰენდითაც კი ვერაფერი მოუხერხა — 6:7 (1:7), 6:3, 3:6.

„უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ კარიერაში პირველად საუკეთესო ათეული დავამარცხე. ვგონებ, ასე კარგად არასოდეს მითამაშია“ — გაიხარა ფედერერმა.

ავთანდილ სვანიძე

პირველი წრე: სედრიკ პიოლინი (3, საფრანგეთი) — ჯეფ ტარანგო (აშშ) 6:4, 6:2; მარკ როსე (4, შვეიცარია) — სირილ სოლნიე (საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:1; გიიმ რაუქსი (საფრანგეთი) — მაგნუს გუსტავსონი (5,შვედეთი) — მარატ საფინი (8, რუსეთი) 6:4, 7:6 (7:2).

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲨᲘ ᲒᲕᲘᲐᲜ ᲘᲚᲕᲘᲫᲔᲑᲔᲜ



REUTERS ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲓᲐᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲔᲚ ᲞᲔᲢᲔᲠ ᲑᲝᲜᲓᲠᲐᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲒᲝᲚᲘ ᲢᲐᲛᲞᲔᲚᲗᲐ ᲙᲐᲠᲨᲘ

3 თებერვალი

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — ᲢᲐᲛᲞᲐ 10:1

1:0 8:1 1:0

1:0 ბონდრა 10'40 (18); 1:1 სილინჯერი 25'00 (4); 2:1 ბონდრა 29'46 (19); 3:1 ბონდრა 30'21 (20); 4:1 იუჰანსონი 31'50 (8); 5:1 ბელოუზი [illegible]'25 (9); 6:1 ჟიუნო 33'40 (10); 7:1 [illegible]ონდრა 34'33 (21); 8:1 ბლექი [illegible] (6); 9:1 შვეიკოვსკი 39'20 (5); 10:1 ბელოუზი 41'18 (10)

ვაშინგტონი გვიან მოეგო გონს. თასის ფინალისტისთვის სამარცხვინო შედეგიანობის შემდეგ (სეზონის 47 მატჩში 110 შაიბა) რაღა წარმატებაზეა საუბარი, დედაქალაქელებმაც აუტსაიდერზე იყარეს მთელი ჯავრი. მეორე პერიოდის ათი წუთის განმავლობაში ტამპელებს, რომელთაც ხუთი მცველი აკლდათ, შაიბების წვიმა დაატყდათ თავს. პეტერ ბონდრამ და მისმა პარტნიორებმა 8 გოლი გაიტანეს და ახალი საკლუბო რეკორდი დაამყარეს, თვით სლოვაკმა კი პირველად სეზონში პოკერი შეასრულა. მას მხოლოდ ერთი გოლი დააკლდა საკუთარი რეკორდის გამეორებამდე (1994 წლის თებერვალს ტამპასთან მატჩში). მოგება მოგებად, მაგრამ საქმე ისაა, რომ ვაშინგტონელებს ორჯერ მეტიც რომ გაეტანათ, თავიანთ სავალალო მდგომარეობას მაინც ვერ უშველიდნენ. ჯერჯერობით კონფერენციაში მერვე ადგილზე მყოფ ფლორიდას ისინი 10 ქულით ჩამორჩებიან.

ᲑᲣᲤᲐᲚᲝ — ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 3:5

0:2 1:0 2:3

0:1 კორბე 12'50 (7); 0:2 კორბე 16'41 (8); 1:2 უორდი 33'25 (15); 2:2 შატანი 41'03 (21); 2:3 დედმარში 44'54 (15); 3:3 ბრაუნი 46'21 (13); 3:4 კამენსკი 47'30 (12); 3:5 ლეფევრი 59'18 (1)

ორი ჩინებული მეკარე — ბუფალოელი დომინიკ ჰაშეკი და კოლორადოელი პატრიკ რუა ორი პერიოდის განმავლობაში ასე თუ ისე იგერიებდნენ შემტევებს, მაგრამ ბოლო მესამედში ზეწოლას ველარ გაუძლეს. ეს უფრო „დომინატორზე" ითქმის, რომელსაც 48-ე წუთზე გადამწყვეტი შაიბა გაუტანეს — სტეფან იელეს პასით მისმა პარტნიორმა ვალერი კამენსკიმ იხეირა. ამ მოგებით „ეველანშმა" თავისი ტრიუმფალური სერია 10 მატჩამდე გაგრძელა.

ᲛᲝᲜᲠᲔᲐᲚᲘ — ᲕᲐᲜᲙᲣᲕᲔᲠᲘ 2:1

0:0 2:1 0:0

1:0 სტივენსონი 22'31 (3); 2:0 სტივენსონი 30'09 (4); 2:1 ოკუანი 39'57 (12)

ვანკუვერს მწვრთნელის შეცვლაც არ შველის. მარკ კროუფორდის თავკაცობით „კანაქსმა" 4 თამაშიდან 3 წააგო.

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ — ᲐᲘᲚᲔᲜᲓᲔᲠᲡᲘ 5:1

2:0 1:1 2:0

1:0 აიზერმანი 12'39 (20); 2:0 ლაპოინტი 18'56 (11); 3:0 მაკარტი 20'26 (13); 3:1 ნემჩინოვი 21'29 (6); 4:1 მაკარტი 50'33 (14); 5:1 შენაჰანი 59'59 (19)

ორი მცველის გარეშე დარჩენილ მასპინძლებს (სამედნიეროდ ლარი მერფის ტვინის შერყევა მძიმე არ არის, იგი პარასკევს მოედანზე გავა, ტოდ გილი კი ერთ თვეს გამოტოვებს) ნიუიორკელთა ძლევა მაინც არ გასჭირვებიათ.

ᲔᲓᲛᲝᲜᲢᲝᲜᲘ — ᲝᲢᲐᲕᲐ 2:2

1:0 1:1 0:1 0:0

1:0 გერინი 19'59 (21); 2:0 ბერანეკი 32'16 (15); 2:1 მაკიჩერნი 34'57 (25); 2:2 ბერგი 50'34 (1)

ოტავა 1994 წლის იანვრიდან ვერ უგებს ედმონტონს (+10=2-6).

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ — ᲜᲘᲣ ᲯᲔᲠᲡᲘ 1:4

0:1 0:0 1:3

0:1 ელიაში 5'31 (8); 0:2 სიკორა 41'15 (15); 1:2 პრიმო 45'57 (23); 1:3 ოლივა 56'53 (4); 1:4 სიკორა 57'46 (16)

ᲤᲚᲝᲠᲘᲓᲐ — ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 5:2

1:0 1:1 3:1

1:0 ბურე 16'42 (8); 2:0 დვორუაკი 38'21 (8); 2:1 სალივანი 39'24 (8); 3:1 პარიში 46'00 (13); 4:1 უიტნი 50'09 (15); 4:2 ტომასი 53'03 (20); 5:2 ნიდერმაიერი 59'35 (14)

„პანტერები" კვლავაც იმკიან გონივრული საკადრო პოლიტიკის ნაყოფს, პირველ ყოვლისა, ეს ითქმის პაველ ბურეზე, რომელსაც ახალ კლუბში გამართულ ექვს შეხვედრაში უქულოდ არ დაუტოვებია მოედანი. ფლორიდამაც მხოლოდ ერთხელ წააგო, რაც მთავარია, საგრძნობლად გაზარდა შედეგიანობა. „რუსულმა რაკეტამ" თავის მე-8 გოლს 2 პასიც დაამატა, „პანტერები" კი საპლეიოფო ჯგუფში დამკვიდრდნენ.

ᲐᲜᲐᲰᲐᲘᲛᲘ — ᲩᲘᲙᲐ�გᲝ 3:0

1:0 0:0 2:0

1:0 კარია 3'34 (21); 2:0 კალენი 40'24 (4); 3:0 მაკინისი 59'48 (14)

წლეულს ანაჰაიმი განსაკუთრებული მონდომებით ებრძვის ჩიკაგოს და ძალიან ახარებს თავის მწვრთნელ კრეიგ ჰარტსბურგს, რომელიც მანამდე სამი სეზონის განმავლობაში სწორედ „ქორებს" უძღვებოდა. გი ებერმა მე-4 შეთაუტი მიითვალა და საკუთარი საკლუბო რეკორდი გაიმეორა.

ᲚᲘᲒᲐᲨᲘ ᲒᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲕᲘᲛᲐᲡ ᲔᲚᲘᲐᲜ

ნჰლ-ის პრიზების ნუსხას კიდევ ერთი შეემატა. ბოლო წლებში დაქვეითებული შედეგიანობით შეწუხებულმა ლიგის ხელმძღვანელობამ ამ ტენდენციის აღმოფხვრა ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერისთვის განკუთვნილი ჯილდოს დაწესებით სცადა. ნჰლ-ის მესვეურთა ეს ნაბიჯი მეტად მოიწონა ლიგის კომისიონერმა გერი ბეტმენმა: „არ მეგონა, თუ ეს ამბავი ასეთ ენთუზიაზმს გამოიწვევდა, რადგან ყოველთვის ვთვლიდი, რომ ჩვენი ჯილდოთა კოლექცია ისედაც მდიდარი და სრულყოფილი იყო". სიმბოლურია, რომ ახალი პრიზი განთქმული მორის რიშარის სახელობისაა. 50-იანი წლების ჩინებული ფორვარდი, მეტსახელად „რაკეტა" იმითაა ცნობილი, რომ პირველმა ნჰლ-ის ისტორიაში ერთ სეზონში 50 შაიბა გაიტანა და ასევე პირველმა 50-შაიბიან ზღვარს გადააბიჯა. პრიზის პრეზენტაცია „All-star weekend"-ის დროს შედგა, ტამპაში, რიშარის თანდასწრებით, რომელმაც იმედი გამოთქვა, ამიერიდან ნჰლ-ს გოლების წვიმა დაატყდებაო. ჯერჯერობით „მორის რიშარ ტროფის" პირველი ლაურეატობის ყველაზე რეალური პრეტენდენტი ფილადელფიელი ჯონ ლეკლერი გახლავთ, რომელიც 31 გოლით სნაიპერთა დავაში ლიდერობს და ოთხი შაიბით უსწრებს უახლოეს მდევრებს.

ᲘᲐᲜ ᲰᲠᲓᲘᲜᲐ ᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲑᲔᲓᲐ

პიტსბურგის ახალგაზრდა ცენტრფორვარდი იან ჰრდინა იანვრის საუკეთესო ახალბედად დაასახელეს. 22 წლის ჩეხმა 13 მატჩში დაგროვებული 9 (5+4) ქულით ავჯობა სხვა კონკურენტებს — კოლორადოს ფორვარდ კრის დრურის (12 თამაშში 9 (3+6) ქულა) და ოტაველ მარიან ჰოსას (14 შეხვედრაში 8 (4+4) ქულა). უნდა ითქვას, რომ ბოლო მატჩებში ახალბედას ხშირად უწევს იარომირ იაგრთან შეამხანაგება. ეს იმიტომ აღვნიშნეთ, რომ სახელოვანი ჩეხი სრულიადაც არ ჩრდილავს თავის ახალბედა თვისტომს. ის კი არა, იგი რომ ჩინებულად ასპარეზობს, გარკვეულწილად ჰრდინას დამსახურებაა.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐ

ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ							
ტორონტო	50	29	3	18	162:147	61
ოტავა	49	27	7	15	146:109	61
ბუფალო	48	24	8	16	132:102	56
ბოსტონი	48	20	8	20	121:111	48
მონრეალი	51	19	8	24	115:132	46

ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲐ						
ფილადელფია	48	27	11	10	152:96	65
ნიუ ჯერსი	49	28	6	15	143:124	62
პიტსბურგი	46	24	7	15	146:126	55
რეინჯერსი	49	19	7	23	127:133	45
აილენდერსი	50	15	4	31	117:155	34

ᲬᲧᲜᲐᲠᲘ ᲝᲙᲔᲐᲜᲔ						
დალასი	47	30	8	9	141:96	68
ფინიქსი	47	25	10	12	127:99	60
ანაჰაიმი	49	18	9	22	121:119	45
სან ხოსე	48	16	12	20	110:115	44
ლოს ანჯელესი	49	17	4	28	117:135	38

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘ-ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
კაროლინა	50	23	8	19	128:122	54
ფლორიდა	48	19	12	17	122:126	50
ვაშინგტონი	48	18	4	26	120:130	40
ტამპა	50	11	4	35	99:179	26

ᲪᲔᲜᲢᲠᲘ						
დეტროიტი	50	25	4	21	148:129	54
სენტ ლუისი	46	19	9	18	125:117	47
ნეშვილი	49	18	4	27	113:156	40
ჩიკაგო	50	14	8	28	110:158	36

ᲩᲠᲓᲘᲚᲝ-ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ						
კოლორადო	50	27	4	19	137:123	58
ედმონტონი	48	19	8	21	135:126	46
კალგარი	50	16	7	27	126:152	39
ვანკუვერი	49	16	6	27	121:144	38

ᲑᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘᲠᲔᲑᲘ: იაგრი (პიტსბურგი) 72 (21+51); ლინდროსი 66 (27+39); ლეკლერი (ორივე — ფილადელფია) 63 (31+32); კარია (ანაჰაიმი) 63 (21+42); ფორსბერგი (კოლორადო) 59 (15+44); იაშინი (ოტავა) 57 (22+35); ფლერი (კალგარი) 56 (24+32); საკიკი (კოლორადო) 55 (23+32); სელიანე (ანაჰაიმი) 55 (22+33); სტრაკა (პიტსბურგი) 51 (23+28); სუნდინი (ტორონტო) და მოდანო (დალასი) 51 (17+34)

ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲣᲛᲕᲘᲠᲐᲪᲘ ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝᲨᲘ

WORLD CHAMPIONSHIPS ALPINE SKI 1999 VAIL-BEAVER CREEK COLORADO-USA

წლევანდელ მსოფლიოს თასზე ავსტრიელ სამთო მოთხილამურე ქალთა ასპარეზობას საუცხოოს გარდა კაცი სხვას ვერაფერს უწოდებ. ავერ, ახლაც ამერიკაში, მსოფლიოს ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მთიან ტრასებზე უბადლონი არიან. გუშინწინ კოლორადოს შტატის სამთო კურორტ ვეილში მოთხილამურენი სუპერგიგანტში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სამთო თხილამურობის ეს სახეობა ურთულესი რამაა და მასში გამარჯვებაც ძვირად ფასობს.

მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში სუპერგიგანტი ორ-ორჯერ მოუგიათ ავსტრიელ ულრიკე მაიერს (1987-89) და იტალიელ იზოლდე კოსტნერს (1996-97), თითოჯერ შვეიცარიელი მარია ვალისერს (1987) და გერმანელ კატია ზაიცინგერს (1997).

ვეილში ჩემპიონობის უპირველეს კანდიდატებად წლევანდელი მსოფლიოს თასის ლიდერს, ავსტრიელ ალექსანდრა მაიზნიცერს, მის თვისტომ რენატა გოეჩლის, იზოლდე კოსტნერსა და გერმანელ ჰილდე გერგს მიიჩნევდნენ. ვეილის დაღმართებში მართლაცდა სანაქებო თხილამურობა გაჩაღდა. მსოფლიოს თასზე ბრწყინვალედ მოსპარეზე მაიზნიცერმა პირველობა აქაც არავის დაუთმო — ყველაზე სწრაფად 1:20.53 წუთში ჩაიქროლა ტრასა და ჩემპიონის ტიტული ირგუნა. მსოფლიოს ჩემპიონატებში ეს წარმატება მაიზნიცერისთვის პირველია (1997 წელს სუპერგიგანტში მეცამეტე იყო).

მეორე შედეგი ასევე ავსტრიელმა რენატა გოეჩლიმ აჩვენა (1:20.56), ბრინჯაოც ავსტრიელ მიქაელა დორფმაისტერს ერგო (1:20.74).

ᲡᲝᲡᲝ ᲙᲝᲢᲝᲠᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲢᲘᲢᲣᲚᲔᲑᲘ

ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲐ ᲛᲐᲘᲖᲜᲘᲪᲔᲠᲘ

- მსოფლიოს თასის მოგებული ეტაპები — 9; სწრაფდაშვება 1, სუპერგიგანტი 4, გიგანტური სლალომი 4
- ნაგანოს ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი გიგანტურ სლალომში, ბრინჯაოს პრიზიორი სუპერგიგანტში
- 1998-99 წლების მსოფლიოს თასის ლიდერი

ᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲒᲐᲠᲘ

	ო.	ვ.	ბ.
ავსტრია	2	1	2
ნორვეგია	1	-	-

კოლორადო, აშშ. ვეილე. მსოფლიოს ჩემპიონატი. სამთო თხილამურობა. სუპერგიგანტი (ტრასის სიგრძე 1853 მ. სიმაღლეთა სხვაობა 478 მ. 40 კარი).

ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

1.	ალექსანდრა მაიზნიცერი (ავსტრია)	1:20.53
2.	რენატა გოეჩლი (ავსტრია)	1:20.56
3.	მიქაელა დორფმაისტერი (ავსტრია)	1:20.74
4.	ჰილდე გერგი (გერმანია)	1:20.83
5.	მარტინა ერტლი (გერმანია)	1:20.98
6.	იზოლდე კოსტნერი (იტალია)	1:21.21
7.	სილვიანე ბერტოდი (შვეიცარია)	1:21.34
8.	კორინე რეი ბელტი (შვეიცარია)	1:21.46
9.	პერნილა ვიბერგი (შვედეთი)	1:21.58
10.	ფლორენს მასნადა (საფრანგეთი)	1:21.65

REUTERS ᲕᲔᲘᲚᲘᲓᲐᲜ

რენატა გოეჩლი, ალექსანდრა მაიზნიცერი და მიქაელა დორფმაისტერი

ᲢᲝᲛᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲓᲐ



ᲡᲐᲠᲒᲘᲔᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ

კოლორადოს შტატის სამთო ალაგ ვეილში, სადაც სამთო თხილამურობის მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, ჩავიდა დღეს პენსიაზე მყოფი დაშვების დიდი ჩემპიონი ალბერტო ტომბა.

ტომბა-მაყურებელმა, რომელიც უკვე 32 წლისა გამხდარა, ილაპარაკა სიყვარულის, თხილამურებისა და ყოველდღიური ცხოვრების შესახებ.

განთქმულმა იტალიელმა თავისი ძველი ნაცნობ-მეტოქეებიც მოინახულა. პირველ რიგში კი, ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი. თურმე, ტომბა გასართობად თოლა დგება თხილამურებზე და ვიდეოკლიპებში მონაწილეობით იქცევს თავს.

ვეილში მისი გამოჩენის მთავარი მიზეზი კი პატრიოტული საქმე ყოფილა: ტომბა მხარს უჭერს 2006 წლის ზამთრის თამაშების იტალიის ქალაქ ტურინში ჩატარებას და სათხილამურო თავშეყრის ადგილებში აგიტაციასაც ეწევა.

მეფური საჩუქარი

ძიუდო რომ საქვეყნოდ პოპულარული სპორტის სახეობაა ეს ყველასთვის ცნობილია, ამ ბოლო დროს კი კიმანოები ქალებმაც მოირგეს, ჰოდა სუსტი სქესის წარმომადგენლებიც ჟინიანად ჭიდაობენ ტატამზე და ერთმანეთს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულებს ეცილებიან. ზოგიერთ მათგანს ძიუდოში მიღწეულმა წარმატებებმა საყოველთაო აღიარება მოუტანა. აგერ ბატონო, ამ ფოტოზე აღბეჭდილია მსოფლიოს ჩემპიონი, ბელგიელი ულა ვერბროუკი, რომელსაც ქვეყნის უმთავრეს ჯილდოს თვით ბელგიის პრინცი ფილიპე გადასცემს.

ნუ გაინკითხავთ...

ინგლისის ნაკრების მწვრთნელი 1974 წლის მერე აღარ მოუხსნიათ თანამდებობიდან. მაშინ, 25 წლის წინ, ალფ რამსეის ეწია იგივე ბედი, რაც ორი დღის წინ გლენ ჰოდლს. ჰოდლის განთავისუფლების მიზეზი საყოველთაოდ ცნობილია: მან „ტაიმსისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ინვალიდები წინა ცხოვრებაში ცოდვილი ადამიანები არიან. 2 თებერვალს ჰოდლმა პრესკონფერენცია გამართა, რომელსაც ინვალიდი გარი რეინსიც ესწრებოდა. რეინსმა ვეღარ მოითმინა და...

REUTERS ლონდონიდან

კვლავ სასამართლოში



სარბიელის არქივიდან

არ იქნა და არ დამთავრდა მაიკ ტაისონის ურთიერთობა ამერიკულ კანონებთან. აი, დღესაც, ისა და მისი ვექილი პოლ კემპი მერილენდის ქალაქ როკვილის სასამართლოში უნდა გამოცხადდნენ.

ამბავი ძველია: შარშან, მერილენდში მოგზაურობისას ტაისონის მანქანა ავტოსაგზაო შემთხვევის მონაწილე შეიქნა. ტაისონიანი „მერსედესი“, რომელსაც მაიკის ცოლი მონიკა მართავდა, შეჯახებაში მოჰყვა. „მერსედესის“ გარდა დაიმტვრა ორი სხვა მანქანაც. ავტოშემთხვევაში მონიკას ბრალი არ მიუძღოდა.

როგორც ამბობენ, რკინის მაიკი მანქანიდან გადმოიჭრა და წიხლები და მუშტები დასცხო მძღოლებს. 62 წლის კაცს ყბაში უთავაზა, 50-ისას კი საზარდულში. რა გასაკვირია და, მათაც იჩივლეს.

მერილენდის შტატის მონტგომერის საგრაფოს მოსამართლე სტივენ ჯონსონი ამბობს, რომ მაქსიმალური სასჯელი ამგვარი დანაშაულისთვის ათწლიანი ციხე და 2500 დოლარით დაჯარიმებაა. ტაისონის მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ ციხიდან სასჯელი ვადის განახევრების წყალობითაა გათავისუფლებული. დამკვირვებლები კი ფიქრობენ, რომ სასამართლო გვარიანად გაიწელება, რახან მაიკის ვექილი ყველა შესაძლო ხერხს მიმართავს საქმის გასაჯანჯლებლად. ციხე ხომ ტაისონის კარიერის დასასრულს ნიშნავს.

მოკრივის ქომაგთა არმია კი დიდ საპროტესტო აქციებს გეგმავს. თვით მუჰამედ ალის ჩავიყვანთ მონტგომერის საგრაფოში და მაიკის კაიბიჭობაზე ვალაპარაკებთო.

REUTERS ჰობსონვილიდან

ჯონ ჰართსის ხუშტურები

ეტყობა, ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრების მთავარ მწვრთნელს ჯონ ჰართსს არა მარტო ჯონა ლომუს, არამედ ნაკრების სხვა წევრების ფიზიკური მომზადების დონეც არ აკმაყოფილებს, ამიტომაც, შეგირდთა მოსაღონიერებლად დროდადრო არატრადიციულ მეთოდებს მიმართავს. ასე მაგალითად — ჰობსონვილის სამხედრო საჰაერო ძალების ბაზაზე შეკრებილ ოლბლექსელებს უშველებელი ხის მორის ერთი კილომეტრით გადათრევა დაავალა.

შვილი მამას ანუგეშებს



REUTERS როუზმონტიდან

ამერიკული ფეხბურთის ლეგენდას უოლტერ პეიტონს (ფოტოზე მარჯვნივ) შვილი ჯარედი ანუგეშებს. 2 თებერვალს ამერიკული ფეხბურთის დიდების დარბაზის წევრი პრესკონფერენციისას ცუდად გახდა, ექიმებმა მას გულის დაავადება დაუდგინეს. გაჭირვებისას შვილი მამას გვერდით დაუდგა. ამჟამად დონორს ისინი ერთად ეძებენ

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე სოსო კოტორაიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული ფეხბურთის განყოფილება
კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური ფეხბურთის განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი **კალათბურთის განყოფილება** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, გაიოზ თალაკვაძე **ინფორმაციის განყოფილება** ირაკლი თავაძე, პაატა თოთაძე, ავთანდილ სვანიძე **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42, II კორპუსი,
IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79,
საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29